ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

29 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“+
საქართველოს
სამოციქულო
ეკლესიის
ისტორია ტომი 2
8 ლარი




სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 2012 №258 (5948) ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალებმა კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

როდის ექნებათ მეოცნებეებს საკონსტიტუციო უმრავლესობა გვ. 3




## თბილისის პარლამენტის შენობა ნიკა გილაურს გადასცეს

გვ. 3

## როდის გასდის ვადა მიხეილ სააკაშვილს



გვ. 3

„თავისუფალი საქართველო“ საკონსტიტუციო სასამართლოსგან სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის შესახებ განმარტებებს ითხოვს

## რას ითხოვენ ადვოკატები ივანიშვილისგან გვ. 2



## საპატრიარქოსთვის ომბუდსმენის პოსტზე დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურაა მისაღები

გვ. 3



## მამუკა არეშიძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან“

გვ. 6

## სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი გარემოცვის გარეშე ვერ იარსებებს“



გვ. 2

## ანი მიროტაძე: „პარლამენტი ქუთაისში ვერ იმუშავებს“



გვ. 5



## არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ბედით დაინტერესდით!

— გვ. 5 —

24 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ნელსონ მანდელა
8 ლარი




ISSN 1987-9385

4 გულბაათ რცხილაძე: „ჩვენს ხელისუფლებას რუსეთისკენ შემობრუნება მოუწევს“

4 ემზარ კვიციანის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა

4 სად იქნება ივანიშვილის პირველი ვიზიტი

7 „ბაჩო ახალაიამ და დიმიტრი შაშკინმა სააკაშვილს დიდი დარტყმა მიაყენეს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი გარემოცვის გარეშე ვერ იარსებებს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან



*– ბატონო სოსო, საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე აქტიურად დაიწყო იმაზე საუბარი, რომ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა იწურება 2013 წლის 5 იანვარს და არა მომავალი წლის ოქტომბერში, როგორც ეს კონსტიტუციაში ჩაიწერა. საუბარია, რომ ეს 9 თვე მას უკანონოდ აქვს გახანგრძლივებული. როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით?*

– ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა ამ საკითხის დაყენება, რადგან ორი-სამი წლის წინ, თავად არაერთხელ გამოვაქვეყნე ინფორმაცია ამის თაობაზე, რომ 2008-ს რომ მივუმატოთ ხუთი, იქნება 2013 და 2008 წლის 5 იანვარი, ხუთი წლის შემდეგ იქნება 2013 წლის 5 იანვარი. ანუ ვსვამდი საკითხს იმის შესახებ, რომ არა უგვიანეს 2012 წლის ნოემბრისა, მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციისა, მომხდარიყო ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და გადაბარება და გამარჯვებული კანდიდატის ინაუგურაცია ყოფილიყო სწორედ 2013 წლის 10 იანვრამდე. რასაკვირველია, ეს არ იქნა აღქმული სერიოზულად, თუმცა ამ თემაზე საუბარი ყოველთვის აკვირვებდა ჩემს საზღვარგარეთელ კოლეგებს, რადგან ძნელად წარმოედგინათ, როგორ მოახერხა სააკაშვილმა, თითქმის ერთი წლით გაეგრძელებინა საკუთარი უფლებამოსილება, მაშინ, როდესაც დასავლეთში ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ მან პირიქით, 2007 წელს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნით შეიმცირა ეს უფლებამოსილება. საუბარი იმაზე, რომ კონსტიტუციაში წერია, რომ მხოლოდ ოქტომბერში უნდა იყოს არჩევნები, ეს მხოლოდ საბავშვო ბაღის მოწაფეებს თუ დააკმაყოფილებს, როგორც არგუმენტი. თითქოს კონსტიტუცია ბიბლია იყოს. სწორედ იმიტომ დამახინჯდა იგი არსებული სახით, რომ მორგებული ყოფილიყო ქვეყნის პრეზიდენტის ახირებებზე. ამდენად, როდესაც ქვეყანაში დგება სრულიად მკაფიო საფრთხე ორხელისუფლებიანობისა და დასავლეთის მიერ კვლავ დემოკრატად მონათლული სააკაშვილი უკვე ღიად თამაშობს ორმაგ თამაშს; ერთი ხელით წარადგენს ახალ მთავრობას, მეორე ხელით კი უკრძალავს საკუთარ საპარლამენტო გუნდს, მხარი დაუჭიროს მისსავე კანდიდატებს, წარდგენილს პარლამენტისთვის. თუ ეს ასე არ არის, მაშინ კიდევ უარესი, ეს ნიშნავს, რომ არათუ ქართველი საზოგადოება, არამედ მის მიერვე გაწვრთნილი პარლამენტართა უზრდელი ცილისმწამებელი გუნდი აღარ ემორჩილება მას და პრეზიდენტის სურვილის წინააღმდეგ გამოდის და არ აძლევს ხმას იმ მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი წარადგენს პარლამენტში. მოკლედ, ვაის გავეყარე, უის შევეყარე, ასეთ რეჟიმშია დღეს ჩვენი პრეზიდენტი და ვფიქრობ, დროა აღიაროს მან, როდის გადის ხუთწლიანი ვადა. ამიტომ შეიძლება დეკემბერში ველარ მოესწროს ეს საქმე, მაგრამ არა უგვიანეს 2013 წლის იანვრისა, ასეთი არჩევნების ჩატარება კიდევ მისცემს შანსს სააკაშვილს, რომ იგი რაიმე საერთაშორისო სისტემაში ჩართულ იქნეს დემოკრატის იმიჯით.

*– საუბარია, რომ კონსტიტუციაში უნდა შეიცვალოს ეს მუხლი, რომელიც პრეზიდენტს ვადას უხანგრძლივებს, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობას არა ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში. ამ შემთხვევაში რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან? ითქვა ისიც, რომ თითქოს ხელმოწერების შეგროვებით შესაძლებელია ამ პრობლემების მოგვარებაო...*

– რასაკვირველია, რეფერენდუმი – ეს ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია დღევანდელი ხელისუფლების ხელში. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომელშიც იმყოფება ქართველი საზოგადოება და ამ საზოგადოების წევრთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს აუცილებელ პასუხისმგებლობას იმ მაღალჩინოსნებისა, რომლებიც წლების განმავლობაში მოევლინა ქართულ სახელმწიფოს ყაჩაღთა, მწამებელთა და ცილისმწამებელთა მანტიით. ამიტომ შედეგი ასეთი რეფერენდუმისა ადვილად გამოსაცნობია, თუმცა უფრო მარტივი შეიძლება იყოს, ერთი-ორი გადალაპარაკება პარლამენტში წარმოდგენილი უმცირესობის წევრებთან და დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო უმრავლესობა მიიღებს იმ რაოდენობას დეპუტატებისა, რომელიც საკმარისი იქნება კონსტიტუციური უმრავლესობისთვის.

*– ერთ-ორ გადალაპარაკებაში რა იგულისხმეთ?*

– რომ მისცენ საშუალება უმცირესობის ზოგიერთ წევრს, გაამჟღავნონ საკუთარი ლტოლვა ქართული ოცნებისკენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს იქნება არანაკლები საფრთხე ქართული დემოკრატიისთვის, ვიდრე გახანგრძლივებული ვადა სააკაშვილის პრეზიდენტობისა. თუ ის ისურვებს იყოს ქვეყნის პრეზიდენტი და არა გადაგვარებული ძალის ლიდერი. მას აქვს ინდივიდუალური რესურსი, რომ განახორციელოს პრეზიდენტობის ფუნქცია ქვეყანაში, მაგრამ როგორც ჩანს, მას საკუთარი გარემოცვის გარეშე უკვე უჭირს არსებობა ამქვეყნად. ალბათ ცხარე ცრემლებით დასტირის თავის ფავორიტებს: ადეიშვილს, კეზერაშვილს, შაშკინს და საერთოდ მდუღარე ცრემლს ღვრის ახალაიების მონატრების გამო. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, ის საჯაროდ აცხადებს, რომ ყოველგვარი რესურსი ქვეყნის პრეზიდენტობისა მის მიერ ამოწურულია.

*– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში აქტუალურად დადგება?*

– აქ კი არის კონსტიტუციური კანონის შეუთავსებლობა, ვგულისხმობ ხუთწლიან ვადას, პრეზიდენტობის და არჩევნების ოქტომბერში ჩატარებას. მაგრამ წონადობის თვალსაზრისით, რასაკვირველია, ბევრად მნიშვნელოვანია ხუთწლიანი ვადა, ვიდრე ამოჩემებული ერთი თვე. მესმის, რომ ამ კონსტიტუციის შემქმნელ პოლიტიკურ გუნდს დიდი სიმპათიები აქვს იმ ისტორიული მოვლენის მიმართ, რასაც ჰქვია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობა სწორედ ლენინიზმის გზით აპირებს გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა და არაერთი ანდერძის სახით დატოვებული გამონათქვამი ვლადიმერ ილიჩის. მაგრამ მე მგონი ქართულ პარლამენტარიზმს ამჯერად იმდენად გონიერი ხალხი წარმართავს, რომ არ შეიძლება ჩავიციკლოთ ამ ვადაში, რომ მაინცდამაინც ოქტომბრის თვეში. მოდით, დავრჩეთ ერთგული ელემენტარული არითმეტიკის და ვიცოდეთ, რაიმე სიდიდეს ხუთს რომ მივუმატებთ, რა სიდიდესთან გვექნება საქმე.

*– პროცესები რომ არ გართულდეს, ალბათ, აჯობებს სააკაშვილმა თავად მიიღოს გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე...*

– ჩემი აზრით, აჯობებს, ნურავინ შეიცვლის საკუთარ გუნდს, მაგრამ თუ გამოჩნდება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებას დღევანდელ უმცირესობაში, რასაკვირველია, ეს იქნება ყველაზე დემოკრატიული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ინდივიდუალური მუშაობა უმცირესობის წევრებთან და მათი ინდივიდუალური აზრის საჯაროდ გაჟღერება, იქნებოდა საკმაოდ საინტერესო, რომ ვიცოდეთ, ვინ იცის არითმეტიკა და ვინ არა, დღევანდელ უმცირესობაში.

*– საპარლამენტო უმრავლესობას აქვს იმედი, რომ თუ დასჭირდებათ, საკონსტიტუციო უმრავლესობას უპრობლემოდ მოაგროვებენ. როგორც ჩანს, ჰყავთ მხარდამჭერები დღევანდელ უმცირესობაში...*

– მხარდამჭერი ერთია და ეს მისასალმებელია, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობის ზრდა, ფრაქციულ ზრდას ვგულისხმობ, საკონსტიტუციო დონემდე, არცთუ მიმზიდველი ნაბიჯი იქნება ახალი ხელისუფლების დასახასიათებლად.

*– თქვენ მაინც რა პროცესებს ელოდებით ამ საკითხთან დაკავშირებით?*

– ყველაზე ღირსეული ნაბიჯი იქნებოდა პრეზიდენტის მიერ, რეალობის გაცნობიერების საფუძველზე, მისი მოთხოვნა გადადგომასთან დაკავშირებით, თუმცა სამწუხაროდ ასეთი რეალობა ძნელად წარმომიდგენია, რადგან მან საკუთარ გარემოცვაში და მრჩეველთა ჯგუფში აღარავინ დატოვა, ვისაც რაიმე ელემენტარული ნდობა მაინც დარჩენია ქართველი საზოგადოებისა. ისე, ვფიქრობ, ოჯახის წევრები თუ შეძლებენ მის დარწმუნებას, რომ საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს.

# რას ითხოვენ ადვოკატები ივანიშვილისგან

გულიკო ბალაძე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა უფლებების შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურნენ. ადვოკატები მზად არიან საქართველოს პარლამენტთან დაცვის ინსტიტუტის გაძლიერებისთვის კონსულტაციები დაიწყონ.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ადვოკატთა ინსტიტუციური დაცვის მექანიზმების აუცილებლობასთან დაკავშირებულ განცხადებას უწოდებს უმნიშვნელოვანესს, საქმიანს და გამოთქვამენ სურვილს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ადვოკატთა კორპუსთან დაკავშირებული საკითხების სახელისუფლებო შტოებთან თანამშრომლობით დაჭრაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 25 ოქტომბერს პარლამენტში სამთავრობო პროგრამის პრეზენტაციის დროს განაცხადა, რომ უნდა მოხდეს ადვოკატის დაცვის ინსტიტუტის გაძლიერება, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას დამოუკიდებელს გახდის პრემიერის განცხადებას გამოეხმაურა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია. მისი განცხადებით დაცვის ინსტიტუტის გაძლიერება აუცილებელი პროცესია. ასევე ცნობილი გახდა, რომ მოკლე ხანში იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფში განხილვის შედეგად იქნება მიღებული.

საქართველოს ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნისა და დისკრიმინაციის ფაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ერთ-ერთი ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ადვოკატის პროფესია სარისკოდაა შეფასებული, რაც 2003-2012 წლებში ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად იქცა.

ადვოკატთა აზრით, იმისათვის, რომ ადვოკატი გახდეს მართლმსაჯულების განხორციელებაში თანასწორუფლებიანი მხარე, მოიპოვოს დაცვის მხარის რეალური ფუნქცია, საჭიროა ინსტიტუციის მყარი გარანტიები და სამართლებრივი საფუძველი. დროული და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით დაიწყოს საკანონმდებლო ორგანოსთან კონსულტაციები, გამოიკვეთოს რამდენიმე მთავარი წინადადებაც.

ადვოკატთა ასოციაცია მზადაა იმუშაოს როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

– ჩვენ გვექნება ჩვენი პოზიცია. ადვოკატთა ინსტიტუტი, ადვოკატთა ასოციაცია წარმოდგენილი არ იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავების ჯგუფში. 4-ათასიანი კორპუსი დატოვეს წარმომადგენლის გარეშე. ეს იყო საშინელება. – მიაჩნია ზაზა ხატიაშვილს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენელს არჩილ კაიკაციშვილს მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება ადვოკატთა დაცვის ინსტიტუტის გაძლიერებასთან დაკავშირებით არის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ეტაპზე, რა ეტაპზე, რა გამოწვევებისა და სირთულეების წინაშეც დგას დღეს ადვოკატთა კორპუსი.

– ადვოკატთა ინსტიტუტის დაცვა ივანიშვილმა დაასახელა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის წინაპირობად. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და გვიღრმავებს შინაგან რწმენას, რომ ახალი ხელისუფლება რეალურად დაინტერესებულია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. ადვოკატები ვქმნით სამუშაო ჯგუფს და პარლამენტს წარვუდგენთ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს იმის თაობაზე, თუ რა ცვლილებებია საჭირო და აუცილებელი, – განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

არჩილ კაიკაციშვილი ასევე მიიჩნევს, რომ სახაზინო ინსტიტუტი ადვოკატთა ასოციაციის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდეს. დაცვის ასეთი სახის სამსახური არ შეიძლება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს შემადგენლობაში იყოს იმიტომ, რომ ეჭქვეშ და დარტყმის ქვეშ დგება იქ მომუშავე კოლეგების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. არსებობს არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომლის სამართლიანად წარმართვაში არ იყოს სახელმწიფოს ინტერესი და სახელმწიფომ ნებით თუ უნებლიეთ ზემოქმედება მოახდინოს სახაზინო ადვოკატების წარმომადგენლებზე, – მიაჩნია არჩილ კაიკაციშვილს.

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ აგრეთვე სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დაკავებული ადვოკატების მდგომარეობის შესწავლა. „147 ადვოკატია დაკავებული. პირველ რიგში, ჩვენ დაპატიმრებული ადვოკატების საქმეების გადახედვისა და ცალკეული ადვოკატების გათავისუფლების საკითხს დავაყენებთ“.

– ჩვენი ორგანიზაცია პარლამენტრს, ადვოკატთა ასოციაციას წარმოუდგენს იმ კონსტიტუციური გარანტიების შესახებ წინადადებას, რომელიც, ვფიქრობთ, საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს. კერძოდ, პირველხარისხოვნად მიგვაჩნია კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ადვოკატთა ასოციაცია არის დამოუკიდებელი, ემორჩილება კანონს და ეთიკის კოდექსს. ეს არის ის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც გასცემს ადვოკატის სერთიფიკატს და ლიცენზიას. მნიშვნელოვანია ჩაიწეროს, რომ ადვოკატი მოქმედებს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის ურთიერთობა იყოს მხოლოდ სახელშეკრულებო პირობაზე დაფუძნებული. ამავე პუნქტში აღინიშნოს, რომ ადვოკატი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არის თანასწორუფლებიანი მხარე და ადვოკატის დაკავების, ჩხრეკის და რაიმე საპროცესო მოქმედებების განხორციელება მას შემდეგ მოახდინონ უფლებამოსილმა ორგანოებმა, როცა იქნება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობა, – ასეთია „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და, საერთოდ, ადვოკატთა პოზიცია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაჭრაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინოშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – ლალი ბაღიაშვილი
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გაყიდვების სამსახური – მერაბ ლეჟავა
დიზაინერი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაციონალებს კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

თეა მარხვაიძე

## როდის ეყოლებათ მეოცნებეებს საკონსტიტუციო უმრავლესობა

**საპარლამენტო უმცირესობა ცუდ დღეშია. მართალია დაშლის საფრთხის წინაშე ჯერ არ არიან, მაგრამ თუ მეოცნებეებმა საკონსტიტუციო უმრავლესობა მოაგროვეს, მათთვის დაშლაზე უარესი იქნება.**

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო უმცირესობა გიორგი გოზალიშვილმა დატოვა. ის ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი გახლავთ. მის გასადეპუტატებლად ნაცმოძმა საკმაოდ აქტიური ღონისძიებები გაატარა.

ინფორმაცია გოზალიშვილის მიერ უმცირესობის დატოვების შესახებ პირველად 21 ოქტომბერს გავრცელდა. იმ დღეს ახალი პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა. 5 დეპუტატმა ნაციონალებს უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა. მათ ნაციონალური მოძრაობა დატოვეს და ახალი ფრაქციის შექმნის სურვილი გამოთქვეს.

ნაციონალებს უყვართ სიმბოლოები. მათი საყვარელი ციფრი 5 ნომერი გახლავთ და ალბათ სიმბოლური იყო, რომ პარტია თავიდან 5 მაჟორიტარმა დატოვა.

უმცირესობაში მყოფი ნაცმოძი გოდერძი ბუკიამ, ენზელ მკოიანმა, კახა ოქრიაშვილმა, სერგო ხაბულიანმა და გოგი ლიპარტელიანმა დატოვეს. ნაცმოძის მიმტოვებელთა სახელით განცხადება მაშინ გოგი ლიპარტელიანმა გააკეთა.

მისი თქმით, ისინი არასდროს ყოფილან ნაციონალები. თავის დროზე იმასაც ამტკიცებდნენ, არც შევარდნაძისტები ვყოფილვართო. მომავალში ალბათ იმაზე დაიფიცებენ დედას, რომ არც უოცნებიათ.

ჯერჯერობით ღიად არ ოცნებობენ. ამბობენ, რომ დამოუკიდებლები იქნებიან, მაგრამ „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლებენ.




მათ ბედს გაიზიარებს ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატიც გიორგი გოზალიშვილიც. მის წამოსვლას 21 ოქტომბრიდან ელოდებოდნენ. გოზალიშვილი კი მხოლოდ გუშინ წამოვიდა. ეგ ოფიციალურად, თორემ, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ის 1 ოქტომბრის შემდეგ ოცნებობს.

გიორგი გოზალიშვილი ნაციონალებმა ფრაქცია „რეგიონებში“ გააწევრიანეს. ფრაქციის და უმცირესობის დატოვების შესახებ მან პარლამენტის ბიუროს უკვე მიმართა ოფიციალური განცხადებით. ის ნაციონალების მიმტოვებელ 5 დეპუტატს შეუერთდება.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მალე ნაციონალებს კიდევ რამდენიმე დეპუტატი დატოვებს. ეს ნაციონალებმაც კარგად იციან და გამწარებულები არიან.

ბოლო დროს ისინი ხშირად საუბრობენ, რომ მეოცნებეები მათ მომხრეებზე ზეწოლას ახორციელებენ. ამასთან დაკავშირებით ჩიორა თაქთაქიშვილმაც გამართა პრესკონფერენცია. მათი ბრალდებები მეოცნებეებმა კატეგორიულად უარყვეს. განაცხადეს, რომ ზეწოლა ნაცმოძის მეთოდია და თავად ამ ხერხებს არ გამოიყენებენ.

ამასობაში ვრცელდება ხმები, რომ ნაციონალები პარტიის სახელწოდების შეცვლასაც კი აპირებენ. ეს ინფორმაცია ოპოზიციაში გადასულმა ნაციონალებმა არ დაადასტურეს. ამტკიცებენ, რომ პარტიის სახელს არ შეელევიან. დარწმუნებული არიან, რომ მალე ძველ დიდებას დაიბრუნებენ.

ალბათ ამიტომაც დანიშნეს გენმდივნად ვანო მერაბიშვილი. რომელიც ძალიან კარგი შს მინისტრი იყო. პრემიერობისას თავი დიდად ვერ გამოიჩინა. ვნახოთ, როგორი გენმდივანი იქნება.

ამბობენ, რომ ნაცმოძი აქტიურად ემზადება რეგიონებში. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, თუ რა დავალებები გასცა კახეთის ახალმა გუბერნატორმა კახეთში. მან ჩინოსნებს ერთად დგომისკენ და ნაციონალების ერთგულებისკენ მოუწოდა. დაჰპირდა, რომ ისინი მალე დაბრუნდებიან.

ანალოგიური მოწოდებები ისმის სხვა რეგიონებში. ძალოვანებშიც თავიანთ მეორედ მოსვლაზე ავრცელებენ ხმებს. ვის სჯერა და ვის არა, ამის ვერ გეტყვით. მეოცნებეები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ლენინი უფრო იოლად დაბრუნდება ხელისუფლებაში, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა.

„ქართული ოცნება“ დარწმუნებულია, რომ მალე მათ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლებათ. ეს ახალ ხელისუფლებას ჰაერივით სჭირდება. მათ კონსტიტუციაში ბევრი ცვლილება აქვთ შესატანი.

ერთ-ერთი უპირველესი ცვლილება პარლამენტის თბილისში გადმოტანა იქნება. ამის შესახებ განცხადება გუშინ თეა წულუკიანმაც გააკეთა.

პარლამენტის თბილისში გადატანას ნაციონალი დეპუტატების დიდი ნაწილი უჭერს მხარს. მათ უკვე მობეზრდათ თბილისიდან ქუთაისში სიარული.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. ამბობენ, რომ ნაცმოძს უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე მაჟორიტარი დატოვებს.

პარლამენტში აქამდე 6 ფრაქცია ფუნქციონირებდა. ახლო მომავალში მათი რაოდენობა ერთით გაიზრდება. ფრაქციის შესაქმნელად 6 კაცია საჭირო. ახალ ფრაქციას ნაციონალებიდან გაქცეული მაჟორიტარები შექმნიან. ფრაქციის სახელწოდება „დამოუკიდებელი მაჟორიტარები“ იქნება. ეს ადამიანები, რატომღაც ხაზს უსვამენ, რომ დამოუკიდებლები არიან. არადა, ყველამ იცის, რომ ყველა ხელისუფლებას კარგად ერგებოდნენ.

# როდის გასდის ვადა მიხეილ სააკაშვილს

## „თავისუფალი საქართველო“ საკონსტიტუციო სასამართლოსგან სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის შესახებ განმარტებებს ითხოვს

თეა მარხვაიძე

ნაარჩევნებს ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. ივანიშვილმა პრე-



ზიდენტი სახელით და გვარით მოიხსენია. თავის გამოსვლებში პრემიერი დღემდე არ ახსენებს ტერმინს პრეზიდენტი. ეს კი ნაციონალების ისედაც დასუსტებულ ნერვებზე ცუდად მოქმედებს.

ხმაური ამაზე ჯერ გია ბარამიძემ ატეხა, მერე აკაკი ბობოხიძე ჩააცივდა, გინდა თუ არა, იხმარე პრეზიდენტიო.

მიხეილ მაჭავარიანმა ზრდილობის თემაზე პატარა ლექცია წაიკითხა. მან მეოცნებეებს განუმარტა, რომ პრეზიდენტი 5 წლით არის არჩეული და სანამ ვადა არ გაუვა, მას ყველამ პატივი უნდა სცეს.

ეს ხუთწლიანი ამბავი კარგად გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“. დეპუტატმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილს ვადა 2013 წლის 5 იანვარს ეწურება. შესაბამისად პრეზიდენტი უნდა გადადგეს.

ახალ კონსტიტუციაში კი ნათლად წერია, რომ საქართველოში ყველა არჩევნები ოქტომბრის თვეში უნდა ჩატარდეს. სწორედ აქედან გამომდინარე აპირებენ 2013 წლის ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას.

არადა, იმავე კონსტიტუციაში გვიწერია, რომ პრეზიდენტს 5 წლის ვადით ვირჩევთ. 5 წელი კი 2013 წლის იანვარში გადის.

ახლა მთელი ერი იმის გარკვევაშია, როდის უნდა გადადგეს მიხეილ სააკაშვილი. ამ საკითხით პარტია „თავისუფალი საქართველოც“ დაინტერესდა. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა თენგიზ ომანიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

— საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 70-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. თუმცა, ამავე მუხლის მე-9 პუნქტით, მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. მიხეილ სააკაშვილი მეორე ვადით პრეზიდენტად იქნა არჩეული 2008 წლის 5 იანვარს. აქედან გამომდინარე, მას საპრეზიდენტო ვადა (კონსტიტუციით გათვალისწინებული 5 წელი) ეწურება 2013 წლის 5 იანვარს. თუმცა, რადგან მომდევნო არჩევნები უნდა ჩატარდეს 2013 წლის ოქტომბერში, გამოდის, რომ სააკაშვილს უფლებამოსილება უნარჩუნდება დამატებით 10 თვის მანძილზე, რაც, ბუნებრივია, თავად კონსტიტუციით დადგენილი ნორმის დარღვევაა. რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლესი კანონის ნორმებს შორის კოლიზიაზე, შექმნილ პოლიტიკური ვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ოპოზიციონერი“ პრეზიდენტის ვადის ამოწურვის თარიღს, ვინაიდან საპრეზიდენტო პოსტი უკანასკნელი ბერკეტია, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ დარჩა 1-ელი ოქტომბრის შემდეგ. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულება ხელისუფლების ახალი ძალებისთვის სრულად გადაბარების ბოლო წერტილი იქნება. აღნიშნული საკითხის გასარკვევად, „თავისუფალი საქართველო“ კითხვით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს და ითხოვს განმარტებას, კონკრეტულად როდის იწურება საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა და როდის უნდა ჩატარდეს მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები, — კითხულობს ომანიძე.

ამ კითხვაზე პასუხი დღეს ბევრს აინტერესებს. მართლაც საინტერესოა, როდის გასდის ვადა სააკაშვილს.

# საპატრიარქოსთვის ომბუდსმენის პოსტზე დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურაა მისაღები

თეა მარხვაიძე



საქართველო სახალხო დამცველის გარეშეა დარჩენილი. ვერ გეტყვით, რომ ომბუდსმენის სიტყვა ნაციონალებისთვის რამეს წარმოადგენდა, მაგრამ ომბუდსმენი მაინც საჭიროა, მითუმეტეს ახლა.

სახალხო დამცველის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ერთ-ერთი მათგანი ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძეა. მის კანდიდატურას, როგორც ამბობენ, საპატრიარქოც უჭერს მხარს.

გუშინ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპატრიარქო კონკრეტული კანდიდატის წინააღმდეგი იყო. ამ შემთხვევაში საუბარია თამარ გურჩიანზე. გურჩიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში სექსუალური უმცირესობების დაცვაზე ილაპარაკა ბევრი. ეს კი ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამბობენ, რომ საპატრიარქოც ამ მიზეზით ეწინააღმდეგება მის ომბუდსმენობას.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხზე მამა გიორგი ზვიადაძე „ქართული ოცნების“ ლიდერებს ესაუბრა.

მამა მიქაელ ბოტკოველის განმარტებით, სახალხო დამცველის კანდიდატურაზე მეოცნებეებთან არ უსაუბრიათ. თუმცა მამა მიქაელი ასახელებს იმ კანდიდატურას, რომელიც საპატრიარქოსთვის მისაღებია.

— ამ საკითხზე მსჯელობა საერთოდ არ ყოფილა, თუმცა ჩემი სუბიექტური აზრია და მე უფრო დიმიტრი ლორთქიფანიძეზე ვფიქრობდი. ასევე ძალიან კარგი კანდიდატები არიან გელა ნიკოლაიშვილი და ლია მუხაშავრია. რაც შეეხება თამარ გურჩიანს არ ვიცნობ და მასზე ვერ ვისაუბრებ, — განაცხადა მამა მიქაელ ბოტკოველმა.

დიმიტრი ლორთქიფანიძის მხარდასაჭერად ხელმოწერებიც გროვდება. ეს არც არის გასაკვირი. დეპუტატობის პერიოდში ის ძალიან აქტიურად იცავდა ადამიანების უფლებებს. აქტიურობდა პატიმრების კუთხითაც.

ამის გამო მას ნაციონალები საყვედურობდნენ. განსაკუთრებით მწარდებოდნენ, როცა ლორთქიფანიძე პატიმრების წამებაზე საუბრობდა. ამაზე დავით ბაქრაძემ ერთხელ თქვა, რომ ლორთქიფანიძე პატიმრების ახლობლებისგან ფულს იღებდა. ლორთქიფანიძემ სპიკერს უჩივლა.

ბაქრაძემ ბრალდება ვერ დაასაბუთა. თუმცა მას ამის გამო პასუხი არ უგია. მისი ბრალდებებიდან მოკლე ხანში ციხის კადრები იხილა ერმა. ამ კადრებმა მთელი მსოფლიო შეძრა. საინტერესოა მოუხადა თუ არა ამის შემდეგ ლორთქიფანიძეს ბაქრაძემ ბოდიში.

ლორთქიფანიძის სახალხო დამცველობას ბევრი მოწინააღმდეგ ჰყავს. მისი მისამართით მთავარი პრეტენზია ის არის, რომ ცისფერები არ უყვარს. ეს რამდენად არის დანაშაული ვერ გეტყვით.

ისიც ფაქტია, რომ სახალხო დამცველი ყველას უფლებებს უნდა იცავდეს. მათ შორის არატრადიციულებისასაც. მათი უფლებების დამრღვევი განცხადება არც ლორთქიფანიძეს არ გაუკეთებია.

# თბილისის პარლამენტის შენობა ნიკა გილაურს გადასცეს

თეა მარხვაიძე

თბილისის პარლამენტის შენობა ისევ დავის საგანია. აუდიტის სამსახური შეისწავლის სად და როგორ გადანაწილდა შენობაში არსებული ქონება. ურიგო არ იქნება თუ იმასაც გაარკვევენ ვინ დალეწა პარლამენტის სხდომათა დარბაზი. საინტერესოა, ვის ექავებოდა ფეხის გულები, ასე რომ დაამტვრიეს იქაურობა.

გავრცელებული ინფორმაციით, შენობა უკვე გასხვისებული იყო. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი გამსხვისებლებმა უკან დაიხიეს. პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ის პირიც დაასახელა ვისაც შენობა გადასცეს.

უსუფაშვილის განცხადებით, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობა ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სამინისტროს აქტებით, „საპარტნიორო ფონდისთვისაა“ გადაცემული.

— ამ ეტაპზე თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის გაყიდვა ვერ მოესწრო. ჩვენ რაც ვიცით, ეს შენობა გადაცემულია ინფრასტრუქტურისა თუ ეკონომიკის სამინისტროების აქტებით საპარტნიორო ფონდისთვის. იმ ფონდისთვის, რომელსაც ბატონი გილაური ხელმძღვანელობს და გილაურივეა ამ შემთხვევაში იმ შენობაში თავისი ორგანიზაციით განთავსებული. შენობის გაყიდვა ვერ მოესწრო, იმიტომ რომ მყიდველებმა ეს პროცესი გაწელეს. პარლამენტის შენობიდან გატანილი ავეჯი სხვადასხვა უწყებებსა და დაწესებულებებზეა გადაცემული. რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობასთან, ისევე როგორც ქუთაისში მდებარე შენობასთან დაკავშირებით ყველაზე ნაკლები ბრალი წინა პარლამენტის ხელმძღვანელობასა და აპარატს მიუძღვის. ის იყო სახელმწიფო ქონება, რომელსაც არა დავით ბაქრაძე და აპარატი, არამედ ეკონომიკის სამინისტრო განკარგავდა. ასევეა ეს შენობაც. არცერთი თეთრი არ დახარჯულა პარლამენტის მიერ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ წინა პარლამენტი ისეთივე მსხვერპლია იმ უაზრო გადაწყვეტილებების, როგორც ამ მოწვევის პარლამენტი, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დავით უსუფაშვილმა

„საპარტნიორო ფონდი“ 2011 წლის ივნისში დაფუძნდა. მის დირექტორად ყოფილი ნიკა გილაური დანიშნეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მას პრემიერის პოსტი დაატოვებინეს. შეგახსენებთ, რომ საპარტნიორო ფონდის ოფისი პარლამენტის შენობაში იყო. ფონდის მიზანი ინვესტიციების მოზიდვა იყო.

# სად იქნება ივანიშვილის პირველი ვიზიტი

მთავრობის კანცელარიაში გუშინ პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.



ნათია ხურცილავა

მთავრობის წევრებთან საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა დილიდან დაიწყო. დილიდან ივანიშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კერვალიძე მიიღო.

– ყველა სამინისტროს დაკომპლექტება უნდა დაიწყოს. მოადგილეების დამტკიცებას ალბათ ამ კვირაში დავასრულებთ. ყველა სამინისტროს მუშაობის უახლოესი დროის გრაფიკი შედგება თუ რა არის სასწრაფოდ გასაკეთებელი. რასაკვირველია სტრატეგიაზე ვიმუშავებთ. – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა პირველ ვიზიტზეც ისაუბრა. სად შეიძლება პირველი ვიზიტით ჩავიდეს პრემიერ-მინისტრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ევროპაში, კონკრეტულად კი ბრიუსელში. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ივანიშვილის პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ თუ რომელ ქვეყანაში განხორციელდება, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს იქნება ერთგვარი გზავნილი.

– ორი კვირის შემდეგ საზღვარგარეთ მომიწევს წასვლა. ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი, ვიზიტი ევროპაში იქნება თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში. – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ განუცხადა, საუბარი სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხს, მათ შორის პრემიერის უცხოეთში ვიზიტთან დაკავშირებულ თემას შეეხებოდა.

– ჩვენ, პრემიერ-მინისტრთან ინდივიდუალური შეხვედრები გვექნება, რადგან ყველა ჩვენგანი უკვე იყო სამინისტროებში, ვნახეთ ის საკითხები, რომლებიც აქტუალურია და მიმდინარეა. ჩემი მხრიდან დღის წესრიგში დადგა ვიზიტების საკითხი. ჩვენ განვიხილეთ, სად შეიძლება შედგეს პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი უცხოეთში. თავდაპირველად ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი პირველად ვაშინგტონში წავიდოდა, თუმცა იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული, შესაძლოა, პირველი ვიზიტი არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ ევროპაში, კერძოდ ბრიუსელში შედგეს, პირველი დღე, როცა ახალი პრემიერ-მინისტრი იწყებს მუშაობას და ის ინდივიდუალურად მართავს მინისტრებთან შეხვედრას. მთავრობის წევრებმა თავიანთ უწყებებში შეხვედრები უკვე გამართეს და აქტუალური საკითხები განიხილეს. ბიძინა ივანიშვილთან სწორედ ამ საკითხების შეჯერება მოხდა, – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას თქმით კი მან პრემიერი საქმის კურსში ჩააყენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაა თავდაცვის სისტემაში.

– ეს იყო ჩვენი პირველი სამუშაო შეხვედრა. პრემიერ-მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენე სისტემაში შექმნილ ვითარებაზე, მათ შორის ფინანსური კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის ჯარი საბრძოლო მზადყოფნაში, – აღნიშნა ალასანიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით კი, პრემიერთან შეხვედრაზე საუბარი ძირითადად სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდის შექმნას შეეხებოდა.

– ამ ფონდის მიზანი დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა და უცხოური კაპიტალის შემოტანა იქნება, თუმცა ამასთან იარსებებს ბიუჯეტი, რომელიც თავის საქმეს გააკეთებს და ბუნებრივია, ეს ფონდი მასთან თავსებადობაში მოვა, – აღნიშნა კირვალიძემ.

მთავრობის სამუშაო შეხვედრაზე სოციალურად დაუცველ პირებთან დაკავშირებული პრობლემებიც განიხილება, – ამის შესახებ შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე ასევე განიხილება საბიუჯეტო და საკადრო საკითხები.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ამ ეტაპზე სოციალურად დაუცველი პირები 16 ობიექტში არიან შეჭრილები. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საავადმყოფოებში სოციალურად დაუცველი პირების შეჭრის შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ამასთან, ჯანდაცვის მინისტრმა არ დააკონკრეტა, ვინ იქნებიან მისი მოადგილეები, თუმცა აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე ამ საკითხზეც ისაუბრებს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისი სამი მოადგილის ვინაობა დაასახელა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი მოადგილეები იქნებიან ქეთევან ნატრიაშვილი, თამარ სანიკიძე და დავით ზურაბიშვილი. რაც შეეხება მეოთხე მოადგილეს, მისი ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობის სამუშაო შეხვედრაზე მან ყურადღება გაამახვილა სოფლებში სკოლებთან დაკავშირებულ პრობლემებზე

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით მათ პრემიერთან პარლამენტისა და მთვარობის ურთიერთობაზე ისაუბრეს.

– პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ძირითადად განხილული იყო პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობა. ბუნებრივია პარლამენტს ძალიან ბევრი კანონის მიღება დასჭირდება. ყველაფერს თავისი პროცედურა აქვს, ცხადია ბევრ საკითხს პარლამენტში ასახვა დასჭირდება. – განაცხადა საგანელიძემ.

# გულბაათ რცხილაძე: „ჩვენს ხელისუფლებას რუსეთისკენ შემობრუნება მოუწევს“

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

შორენა გონგლაძე

*– ბატონო გულბაათ, ახალი მთავრობის პირობებში, შიდაეკონომიკური და პოლიტიკური და საკითხების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება საქართველოს საგარეო კურსი და სამომავლო პოლიტიკის ჩამოყალიბება რუსეთთან მიმართებაში, როგორია თქვენი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით?*

– მე ვიტყოდი, რომ არა შიდაეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების შემდეგ, არამედ ამ საკითხებიდან გამომდინარე დგას დღის წესრიგში რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების გადაუდებელი ამოცანა. ბიძინა ივანიშვილმა თავის საპროგრამო სიტყვაში პარლამენტის წინაშე განაცხადა, რომ იგი თავისი საკუთარი ფინანსური სახსრებით ბიძგს მისცემს ქართული ეკონომიკის წინსვლას, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმირების გზით გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამის შემდეგ კი დადგება მეორე ეტაპი, როდესაც უკვე ამოქმედებული ეკონომიკა დაიწყებს თავის თავზე მუშაობას და ფულიც გაჩნდება რეინვესტირებისათვის. აი სწორედ ეს მეორე ეტაპია საინტერესო, როგორ განხორციელდება. მე ვფიქრობ, რომ, არაუგვიანეს ივანიშვილის პროგრამის განხორციელების მეორე ეტაპზე აუცილებელი იქნება რუსულ ბაზარზე დაბრუნება, ჩვენს უდიდეს მეზობელთან ჯანსაღი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. ამის გარეშე, საეჭვოა, რომ ქართული ეკონომიკის სერიოზული ზრდა და, ზოგადად, განვითარება, გაგრძელდეს. ამიტომ ქართული მხარე უკვე ახლა, მოცემულ ეტაპზე უნდა მუშაობდეს რუსეთის ხელისუფლებასთან, ისევე, როგორც „სახალხო დიპლომატიის“ არხების გამოყენებით. ჩემი აზრით, რუსეთი არ გახსნის თავის ბაზარს და არ აღადგენს სრულფასოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოსთან, არც სავიზო საკითხს გადახედავს, თუკი ჩვენ არ გამოვთქვით სურვილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია რუსეთს ვერ აიძულებს ემბარგოს მოხსნას, რადგან ემბარგო ოფიციალურად არც არსებობს. ამიტომ ეს არგუმენტი გამოვრიცხოთ. საქართველომ არ უნდა განაგრძოს საკოიდური კურსი საგარეო პოლიტიკაში. ახალმა ხელისუფლებამ კი საშუალება არ უნდა მისცეს დანაშაულებრივ ორგანიზაციას – ნაცმოძრაობას – იმის საშუალება, რომ ანტირუსული რიტორიკით შანტაჟის ქვეშ ამყოფოს ეს ახალი მთავრობა. სულ რომ, მაპატიეთ, და გასკდნენ „კონსტრუქციული ოპოზიციონრები“, ჩვენს ხელისუფლებას მოუწევს რუსეთისკენ შემობრუნება, რადგან ამას „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ითხოვს პირველ რიგში. თუ ეს არ მოხდება, გამოდის, რომ ახალი ხელისუფლება ხალხის ნებას ეწინააღმდეგება და ნაციანალების გავლენის ქვეშ იმყოფება.

*– სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდოდა მეკითხა – ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ არის მოლოდინი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაიწყება ურთიერთობების ახალი ეტაპი. მაია ფანჯიკიძის განცხადება, რომელიც საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას შეეხება, რამდენად გვაძლევს საფუძველს, რომ ვიფიქროთ ამ კუთხით სამომავლო პერსპექტივებზე?*

– საქართველოს ოფიციოზის გამონათქვამები არ უნდა იყოს გამომწვევი რუსეთის მიმართ. მე დავწერე რამდენჯერმე, რომ საჭირო არ არის ტერმინის – „ოკუპანტი“ – მუდმივი მუსირება. ეს რუსებისთვის შეურაცხმყოფელი ტერმინია. ბარემ პუტინს ისევ „ლილიპუტინი“ დავუძახოთ – იგივეა. „ოკუპანტის“ ტერმინზე უარის თქმა სულაც არ ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პოსტულატის გადახედვას. რუსეთთან უნდა დაფიქსირდეს პოზიცია, რომ საქართველოსთვის კატეგორიულად მიუღებელია ჩვენს ტერიტორიებზე უცხო ჯარების უკანონო ყოფნა და რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს „აღიარება“, ამას საქართველო არასოდეს შეეგუება. ამასთან, საქართველომ უნდა გამოხატოს ნება, რომ ყველა საკითხი დიალოგის გზით არის მოგვარებადი. ჩვენ თავად უნდა ავიტაცოთ პრეზიდენტ პუტინის მიერ საქართველოსთან კავშირში ნათქვამი სიტყვები, რომ „მოუგვარებელი პრობლემები არ არსებობს“. დიახ, ამას თავად პუტინი და მედვედევი ამბობენ, თუმცა პირდაპირ ტერიტორიული საკითხებით რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება ვერ მოხდება. ჯერ უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, რასაც მოყვება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, ხოლო შემდეგ ეტაპზე შესაძლო იქნება დიპლომატიური ინიციატივების განხილვა, მშვიდ გარემოში. რაც შეეხება განცხადებას, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებას ნიშნავს, ეს აბსურდია. ამბობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთი სახელმწიფოს სამი საელჩო არ უნდა იყოსო. მე ვეკითხები ამ ხალხს: რომ არ არის თბილისში რუსეთის საელჩო, დანარჩენი ორი ამით უქმდება? პირიქით, სოხუმის და ცხინვალის პოზიციები უფრო მტკიცდება, ჩვენ კი ვშორდებით ჩვენსავე რეგიონებს. სეპარატისტებს მხოლოდ ერთი რამის ეშიანიათ– არ დალაგდეს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები. მათ არ აშინებთ ნატოსკენ ჩვენი სწრაფვა, პირიქით, უფრო მეტად უახლოვდებიან რუსეთს და მეტ დაცვას პოულობენ მისგან. გარდა ამისა, ავიღოთ სერბეთის მაგალითი. სერბეთი დღეს მართლაც ევროპული სახელმწიფოა, ჩვენზე უფრო წარმატებული, რომელსაც კოსოვოს პრობლემა აქვს. ევროკავშირის ძირითადმა სახელმწიფოებმა აღიარეს კოსოვოს ე.წ. დამოუკიდებლობა, ასევე აშშ-მ, თურქეთმა. მაგრამ სერბეთს ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გაუწყვიტავს. ბელგრადში ყველა ამ სახელმწიფოს საელჩო ფუნქციონირებს, ისევე,



გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ტულუშს ომბუდსმენის პოსტზე უფლებამოსილება ოფიციალურად მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე შეუწყდება



გიორგი ტულუშს სახალხო დამცველის პოსტზე უფლებამოსილება ოფიციალურად მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე შეუწყდება.

პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა შესაბამის პირებს მოუწოდა, ახალი ომბუდსმენის კანდიდატურები პარლამენტს უახლოეს მომავალში წარუდგინონ.

გარდა ამისა, მომავალ კვირას პარლამენტი იუსტიციის საბჭოში კანდიდატებს წარადგენს და „უდო“-ს კომისიის შემადგენლობაში წევრებს უმრავლესობიდან და უმცირესობიდან დაამტკიცებს.

ინტერპრესნიუსი

# ემზარ კვიციანის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა.

ემზარ კვიციანის მეუღლის, თეთნულდ ანსიანის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება მათ საქმეს ობიექტურად გამოიძიებს და გამოძიების შემდეგ ემზარ კვიციანიც დაბრუნდება საქართველოში.

შეგახსენებთ, რომ ემზარ კვიციანი ედუარდ შევარდნაძის დროს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული იყო. ის საქართველოდან 2006 წელს მას შემდეგ წავიდა, რაც ქართველმა სამართალდამცავებმა სპეცოპერაციის შედეგად მისი მომხრეების უმრავლესობის განიარაღება შეძლეს, კვიციანმა კი რამდენიმე ადამიანთან ერთად გაქცევა მოახერხა.

კვიციანის წინააღმდეგ 2006 წელს, უკანონო ფორმირებების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მედიანიუსი

# ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე მინისტრის მოადგილის კანდიდატურა დაამტკიცა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე მინისტრის მოადგილის კანდიდატურა დაამტკიცა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განუცხადა. მისი თქმით, მათ შორის დამტკიცებულია მის მიერ წარდგენილი კანდიდატები. ესენი არიან სოზარ სუბარის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე, ასევე, მოადგილეები ირაკლი წერეთელი და სოფო ჯაფარიძე.

ინტერპრესნიუსი

# მუხიანში მამაკაცი მე-6 სართულიდან გადავარდა

გუშინ თბილისში, მუხიანის დასახლების მე-4 ა მიკრორაიონში შუახნის მამაკაცი საცხოვრებელი კორპუსის მეექვსე სართულიდან გადავარდა.

როგორც „მედიანიუსისათვის“ გახდა ცნობილი, ინციდენტი მე-8 კორპუსში დღეს დილით, დაახლოებით 07.25 საათზე მოხდა. მამაკაცი ამავე კორპუსის მაცხოვრებელი იყო. იგი ადგილზევე დაიღუპა. უბედური შესემთხვევის ამსახველი მასალა ბანკ „რესპუბლიკის“ ვიდეოკამერებმა აღბეჭდა, რომელიც ამავე კორპუსის პირველ სართულზე არის განთავსებული.

ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცი იმ დროს გადავარდა, როცა ის აივანზე სიგარეტს ეწოდა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაწყებულია გამოძიება.

მედიანიუსი

# ანი მიროტაძე: „პარლამენტი ქუთაისში ვერ იმუშავებს!"

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ „ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელთან, უმრავლესობის წევრ ანი მიროტაძესთან**

*– პარლამენტის პირველი სხდომიდან რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, მოელოდით, რომ ყოფილი უმრავლესობა, რომელიც დღეს უმცირესობაშია, ასეთი აქტიური იქნებოდა?*

– ოპოზიცია ცდილობს, რომ ძალიან აქტიური იყოს. პირველივე დღეებიდან ყოფილი მმართველი გუნდი აქტიურია. ჩემთვის გასაკვირია, განსაკუთრებით მათი მხრიდან ხაზგასმა იმაზე, რომ თითქოს მათზე მუქარას ვახორციელებთ, ძალადობას აქვს ადგილი. როდესაც ეს მიხეილ სააკაშვილის გუნდიდან გესმის, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ტოტალურ შიშს ამკვიდრებდნენ, ყველა სფეროს წარმომადგენელს შიშში ამყოფებდნენ, არა მხოლოდ დასაქმებულებს, დიასახლისებსაც კი ეშინოდათ. ტოტალური განუკითხაობა, ქონების ჩამორთმევა, აშენებული სახლების დანგრევა, გახმაურებული მკვლელობები, დაპატიმრებული სასამართლო, პროკურატურა, რომელიც წყვეტდა ყველაფერს, რასაკვირველია ამის მერე გიკვირს მათი პოზიცია. ამ ქვეყნის მოქალაქეები ფიქრობდნენ, რომ ისინი ამ საშინელებას ველარ მოერეოდნენ, რომ ამას უნდა შეგუებოდნენ, რადგან ეს იყო დაუძლეველი. სააკაშვილის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ტოტალური შიშით უნდა გააკონტროლოს და მართოს ეს საზოგადოება. დღეს ამ ადამიანებმა მოირგეს ოპოზიციის სტატუსი და თქვეს, რომ მუქარას აქვს ადგილი. ეს განცხადება სულ ცოტა უხერხული იყო მათი მხრიდან.

*– არ ელოდით მათგან ასეთ რეაქციებს?*

– არ ველოდი. რადგან ამდენი დანაშაულის ჩადენის პირობებში ძალიან რთულია წარმოიდგინო, რომ ასეთი თამამები იქნებოდნენ. თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცხრა წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს, რომ პოლიტიკურად და ყველანაირად ეკონტროლებინათ საზოგადოება, მოსალოდნელიც იყო.

*– პოლიტიკურად ძალიან გამოცდილები არიან...*

– ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ პოლიტიკურად. მათ შემადგენლობაში არ არის მხოლოდ ის ხალხი, ვინც ამ მოწვევის პარლამენტში მოვიდა მხოლოდ. ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირიდან" არის ბევრი მათგანი, ჩამოგითვლით კიდეც: მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც იყო „მოქალაქეთა კავშირის" გენერალური მდივანი, ასევე შემოსავლების სამსახურის მინისტრი, თავად მიხეილ სააკაშვილი, რომელიც „მოქალაქეთა კავშირის" უმრავლესობის ლიდერი იყო, გიორგი ბარამიძე, ხათუნა გოგორიშვილი, გიგი წერეთელი. იმ დღეს ვფიქრობდი, მერამდენე მოწვევის პარტის დეპუტატია წერეთელი? შესაძლოა ცუდი არაფერია იმაში, რომ ადამიანს საპარლამენტო ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ არსებობს მორალური პასუხისმგებლობა, როდესაც შენი ხელისუფლებაში ყოფნის შედეგი არის ბევრი წაგება, მაშინ მორალური პასუხისმგებლობა უნდა განწუხებდეს, რომ კვლავ არ მოინდომი გახდე პარლამენტის დეპუტატი და გქონდეს პრეტენზია, რომ მონაწილეობა მიიღო ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაში. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობისა და „მოქალაქეთა კავშირის" პოლიტიკური კალენდრის დასასრული, ეს არის შევარდნაძე-სააკაშვილის ეპოქის დასასრული. ამ მხრივაც არის გამორჩეული, რომ ახალი ეტაპი იწყება. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებლად წარმატებული უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, ქვეყანში სხვა რეალობა შეიქმნება.



*– ქალაქ ქუთაისში საპარლამენტო ცხოვრების გადატანა, რომელიც კონსტიტუციით არის განსაზღვრული, ახალია და უჩვეულო. რას გვეტყვით ამაზე?*

– საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტმა მუშაობა ქუთაისში დაიწყო. ქუთაისელებთან საწინააღმდეგო არაფერი არ გვაქვს, ძალიან კარგი ქალაქია, მაგრამ პარლამენტის შენობა გამართული არ არის, არ არის სამუშაო პირობები შექმნილი, არ მჯერა, როდესაც ჩემი კოლეგები ამბობდნენ, წვიმა ჩამოდისო, როდესაც გაწვიმდა, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჩამოვიდა. ახლა, თბილისიდან ვბრუნდები ქუთაისში და არ ვიცი, დამხვდება თუ არა ჩემო ოთახი მზად. ძალიან ბევრი სამუშაო ოთახი გაუმართავი და მოუწყობელი იყო. ბევრი ტექნიკური პრობლემაა. სხდომათა დარბაზი ძალიან ლამაზია, მაგრამ ვფიქრობ, პატარაა. თავად შენობა ძალიან დიდია. უზარმაზარი შენობაა და უმარავი თანხაა დახარჯული. პირადად მე მერჩივნა, რომ ეს თანხა თითოეული ქუთაისელის ოჯახს მოხმარებოდა. არა მხოლოდ ქუთაისელის, ამ თანხით შეიძლებოდა ბევრი კარგი საქმე გაკეთებულიყო ზოგადად რეგიონისთვის და ჩვენ არ მიგვეღო ერთი კაცის ახირებით აშენებული პარლამენტი, მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ იყო. პარლამენტს ქუთაისში ძალიან გაუჭირდება ფუნქციონირება. ჩემს კოლეგებს უმცირესობიდან ვკითხე კიდეც, თუ როგორ წარმოუდგენიათ ქუთაისში საკანონმდებლო ორგანოს გამართული და სრულყოფილი მუშაობა. ყველა შემთხვევაში საჭიროა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციები, თანამშრომლობა, მოსახლეობასთან შეხვედრები, დელეგაციების მიღება. ეს ხომ თანმდევია საპარლა-

მათ ამ კითხვაზე პასუხი არ აქვთ. ამ ყველაფერს ერთადერთი პასუხი აქვს და ეს მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული ახირება იყო. როდესაც ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გაუმართავ შენობაში იწყებს პარლამენტი ფუნქციონირებას, ეს დანაშაულია პირადად გადაწყვეტილების მიმღების. არა იმ მოწვევის პარლამენტის მიმართ, არამედ იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც ხელს უშლი, რომ მისი საკანონმდებლო საქმიანობა წარმატებული იყოს. ამით ხომ ინსტიტუტის საქმიანობას უშლი ხელს. ამაზე მიხეილ სააკაშვილს ვინმემ პასუხი უნდა მოსთხოვოს. მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ სრულიად გაუმართავ შენობაში მოუწია მერვე მოწვევის პარლამენტს ფუნქციონირების დაწყება. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ საპარლამენტო მუშაობა ვერ იქნება სრულყოფილი, როდესაც პარლამენტი იქნება ქუთაისში და აღმასრულებელი ხელისუფლება – თბილისში. მიხეილ სააკაშვილმა შეუზღუდა საქართველოს მოქალაქეებს საკუთარ რჩეულებთან შეხვედრის და პრობლემის განხილვის უფლება.

*– რომელი მიმართულებით იმუშავებთ პარლამენტში? რა კონკრეტულ სფეროზე გაამახვილებთ ყურადღებას?*

– მე წარმოვადგენ საგარეო ურთიერთობათა და ევროინტეგრაციის კომიტეტს. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მინდოდა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მემუშავა, მაგრამ ამ კომიტეტში ყოფნის გარეშეც მოვახერხებ. ამ კომიტეტში ფიზიკურად ვერ ვიქნებოდი. 15-წლიანი ჟურნალისტური გამოცდილება მაძლევს შესაძლებლობას, რომ ამ მიმართულებით პროდუქტიული ვიყო. სადაც არ უნდა ვიყო, მაინც ჟურნალისტად ვრჩები.

*– ახალი ხელისუფლება პირობას დებს, რომ მედიისთვის ინფორმაცია დახურული არ იქნება, რომ დახურული სამინისტროები აღარ იარსებებს, რამდენად რეალურია, რადგან ჩვენ სხვა გამოცდილება გვაქვს?*

– ეს გამოცდილება კარგი მაგალითია ახალი ხელისუფლებისთვის, რომ არ უნდა გაუცხოვდე საკუთარ ხალხს. პირველ რიგში მისთვის არის ცუდი, რადგან საზოგადოებისა და ხელისუფლების გაუცხოება ხდება.

*– ჟურნალისტთან გაუცხოება საზოგადოებასთან გაუცხოებას ნიშნავს...*

– რა თქმა უნდა, როდესაც ჟურნალისტს უარს ეუბნები ინფორმაციის მიწოდებაზე, ურთიერთობაზე ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას ეუბნები უარს მასთან კონტაქტზე. ამ შემთხვევაში კონკრეტული ჟურნალისტი ან მედიასაშუალება მოგწონს, არ მოგწონს, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც ჟურნალისტს, მედიასაშუალებას უარს ეუბნები, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას, ხალხს ეუბნები, რომ მე შენ არ გელაპარაკები. ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს არ ელაპარაკება რა თქმა უნდა, უნდა წავიდეს ისტორიის სანაგვეზე. ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა ინფორმაციის თავისუფლება და დემოკრატიული გარემოს შექმნა. ეს არის წინაპირობა, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, გნებავთ რეგიონული მასშტაბით, დაცული იყოს. ამ ქვეყანას გარდა დემოკარტიისა, მეტი არჩევანი უბრალოდ არ აქვს. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება სწორედ იმიტომ დამარცხდა, რომ უარი თქვა ადამიანის უფლებებზე, ზოგადად ადამიანზე და სწორედ ადამიანის უფლების ხარჯზე გადაწყვიტა ხელისუფლების გახანგრძლივება. მეორე, თუ რატომაც დამარცხდა, ეს არის ის, რომ მან უარი თქვა დემოკრატიაზე.

*– ბევრი საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე...*

– სამართლიანობის აღდგენა დაიწყება იქიდან, სადაც ეს ხალხი მივიდა და უბედურება მიიტანა. უბედურებაა ადამიანების ოჯახებიდან გამოსატანია. ადამიანებს საკუთარმა ხელისუფლებამ დაუშავა, რომელიც ძალიან მაღალი ნდობის მანდატით მოვიდა ხელისუფლებაში. უნდა მოახერხო, რომ ასეთი ნდობა ისე შემოგეცალოს, რომ პარლამენტში მოხვედრა გაგიხდეს სადავო. მიხეილ სააკაშვილმა ეს მოახერხა. სააკაშვილი მიხვდება, რომ ისტორიული შეცდომა დაუშვა. მთავარი შეცდომა ის არის, რომ მან საკუთარ ხალხს უთხრა უარი, შესაბამისად ამ ხალხმა უთხრა მას, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ამოწურულია. რაც ნიშნავს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობა", ჩემი აზრით, დამთავრებულია.

# არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ბედით დაინტერესდით!

მერი ნამორაძე

**წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს საგანგებო მიმართვას უგზავნის და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ბედით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.**

გუშინ, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, საზოგადოებას არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ამჟამინდელი მდგომარეობა გააცნეს და ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალურ მე-11 დაწესებულებაში 2012 წლის 8 აგვისტოს მომხდარი არეულობის, ე. წ. ბუნტის წინაპირობებისა და შედეგების გამოძიებასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემას შეეხნენ.

როგორც რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელმა, ლელა ცისკარიშვილმა აღნიშნა, ძალზე მნიშვნელოვანია მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყვნენ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. ე.წ. ბუნტთან დაკავშირებით სამართალში ხელახლა მიეცა თერთმეტი არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან გლდანის №8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, მათგან ორს გამოძიების პერიოდში შეუსრულდა 18 წელი და სასჯელის მოხდასა და საგამოძიებო პროცედურებში მონაწილეობას აგრძელებენ გლდანის №მე-8 საპყრობილის სრულწლოვანთა დაწესებულებაში.

ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალური №11 დაწესებულება არეულობის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა, რის გამოც შეწყდა მისი ფუნქციონირება და დანარჩენი კონტინგენტი, 90 პატიმარი სასჯელის მოხდას აგრძელებს რუსთავის №17 დაწესებულების სამარტოო საკნების იზოლირებულ კორპუსში.




ცისკარიშვილის თქმით, მათი ორგანიზაცია ამ დაწესებულების მსჯავრდებულების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობდა 2006-2011 წლებში. 2010 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც დაწესებულების შიგნით ამოქმედდა სოციალური სამსახური, რომელიც პროფესიონალი სოცმუშაკებითა და ფსიქოლოგებით დაკომპლექტდა, ორგანიზაციამ შეწყვიტა სარეაბილიტაციო სამუშაოები და მხოლოდ სოციალური სამსახურის სუპერვიზიით შემოიფარგლა.

– 2012 წლის 8 აგვისტოს მომხდარი არეულობის, ე.წ. ბუნტის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ გავრკვეულიყავით სიტუაციაში და გაგვეახლებინა ფსოქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესი. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, სასჯელაღსრულების სამინისტროსგან მივიღეთ უარი, როგორც გლდანის №8 დაწესებულებაში მოთავსებულ არეულობის ორგანიზებაში ბრალდებულ, ასევე რუსთავის №17 დაწესებულებაში გადაყვანილ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის განახლების შესახებ. ამის საშუალება მოგვეცა მხოლოდ ციხეებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებისა და სასჯელაღსრულების ახალი მინისტრის, გიორგი ტუღუშის დანიშვნის შემდეგ ამა წლის 24 სექტემბრიდან, – აღნიშნა პრესკონფერენციაზე ცისკარიშვილმა.

რეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგმა, მაია ცირამუამ განაცხადა, რომ არასრულწლოვანები საზოგადოების ყველაზე კრიმინალური სეგმენტია მთელ მსოფლიოში, თუმცა, მათი 80% წყვეტს ასეთ საქმიანობას, როცა პრევენცია მიზანმიმართულია. მათ ესაჭიროებათ შეუზღუდავი გარემო, რომელიც განვითარებას არ შეუშლის ხელს. ჩვენთან კი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ.

როგორც მაია ცირამუამ ჟურნალისტებს განუცხადა, კრიზისული ჩარევისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ადგილი ჰქონდა სისტემატური წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, არასრულწლოვანთა თქმით, დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი დირექტორის კაბინეტში, რეჟიმის უფროსის ოთახში და სარდაფში განლაგებულ სახელოსნოებში სცემდნენ პატიმრებს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ხელებით, ფეხებით, ხელკეტებით, ვენტილატორით (რამდენიმე შემთხვევა), იყო ფაქტები, როცა მსჯავრდებულ არასრულწლოვანებს აწამებდნენ ე. წ. „კენწვლის" მეთოდით (4-5 ადამიანი შუაში მოიქცევს მსჯავრდებულს და „აბურთავებენ"). აღნიშნულ დარღვევებს ადგილი ჰქონდა დაწესებულებაში არასრულწლოვანის გადაყვანისას. ღირსების შემლახავ მოპყრობას ჰქონდა ადგილი ნებისმიერი მიზეზით, შეპასუხება იქნებოდა, გაკვეთილზე გაცინება თუ ფურცლის დავარდნა.

როგორც არასრულწლოვანები ამბობდნენ, მათ ხშირად სჯიდნენ შეთხზული და აბსურდული მიზეზების გამო. ასევე სისტემატიური ხასიათი ჰქონდა პირად პაემანზე მოსული მშობლების დამცირებას არასრულწლოვანის თვალწინ.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები თანდათან უფრო და უფრო სასტიკი და აუტანელი ხდებოდა, წამების დრო გახანგრძლივდა და მეთოდები „დაიხვეწა". რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები ფიქრობენ, რომ სწორედ ამან გამოიწვია ზემოთ ხსენებული არეულობა. ე.წ. ბუნტის ორგანიზატორებს ბრალი დასდეს რამდენიმე უმძიმეს დანაშაულში, მათ შორის დაწესებულების ქონების განადგურებასა და საჯარო პირებზე თავდასხმაში, რაც იმის საშიშროებას ქმნის, რომ მათი სასჯელი მრავალი წლით გაიზარდოს.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, არეულობა ინსპირირებული იყო ავჭალის არასრულწლოვანთა №11 დაწესებულების რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან სისტემატური,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ბედით დაინტერესდით!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

კანონსაწინააღმდეგო ქმედებებითა და უფლებამოსილების გადამეტებით. ცისკარიშვილმა და ცირამუამ აღნიშნეს, რომ „ბუნტის“ ორგანიზატორობის ბრალდებით სამართალში ხელახლა მიცემული თერთმეტივე არასრულწლოვანი მოქმედებდა გარდაუვალი თავდაცვის ფარგლებში და მიუხედავად დამდგარი შედეგისა (ავჭალის დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის და ინვენტარის დაზიანება) მათი ბრალეულობის საკითხი უნდა გადაიხედოს. მათ არ გააჩნდათ სხვა საშუალება თავიანთი მდგომარეობის შესახებ ხმა მიეწვდინათ საზოგადოებისათვის. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მათ საჩივრებსა და განცხადებებს მაშინდელი ხელმძღვანელები ბლოკავდნენ. მეტიც, ეს საჩივრები ხდებოდა მათი ხელახალი და უმკაცრესი დასჯის საბაბი. ამასთან, სახალხო დამცველის წარმომადგენლის ვიზიტებისას არასრულწლოვანებს მკაცრად აფრთხილებდნენ და ემუქრებოდნენ, არ განეცხადებინათ წამების ფაქტების შესახებ. ასევე კატეგორიულად უკრძალავდნენ სოციალური სამსახურის თანამშრომლებისათვის ამ ფაქტების გამხელას. რომ არა ის ძვრები, რაც 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგ განვითარდა, მათ გაასამართლებდნენ და როგორც მოზარდები ამბობენ, მნიშვნელოვნად გაუზრდიდნენ პატიმრობის ვადას. მათ დაკითხვას არ ესწრებოდნენ ადვოკატები, მათზე ზეწოლას ახდენდნენ პროკურატურის მაღალჩინოსნები, მეტიც, გლდანის №8 საპყრობილეში გადაყვანის შემდეგ კვლავაც სისტემატურად აწამებდნენ და აიძულებდნენ აღიარებითი ჩვენების მიცემას.

როგორც ცირამუამ აღნიშნა, აუცილებლად უნდა გადაიხედოს მოზარდთა ბრალეულობის საკითხი. მათი რეაბილიტაციისათვის მნიშვნელოვანია ობიექტური გამოძიების ჩატარება, რათა სამართლიანობის განცდა დაბრუნდეს.

დღეისათვის 90 მოზარდი რუსთავის №17 დაწესებულებაშია გადაყვანილი. შესწავლილი იქნა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სახეზეა უძილობა, შფოთვა, თვითდაზიანების მცდელობა, შიშები, კლაუსტროფობიის შემთხვევაც ..

ცირამუას თქმით, ეს უკავშირდება სივრცის შეზღუდვას. რუსთავში გადაყვანის შემდეგ მხოლოდ ერთი საათით შეეძლოთ მსჯავრდებულებს სეირნობა. სისტემაში ტულუშის მოსვლის შემდეგ ეს დრო გახანგრძლივდა. ისინი იმყოფებიან ძირითადად უჟანგბადო გარემოში. მათი დღის რუტინა ცარიელია, არ აქვთ განათლების მიღების საშუალება, ვერ იღებენ საქართველოს კანონით და საერთაშორისო სტანდარტებით არასრულწლოვან პატიმართათვის გარანტირებულ სერვისებს.

ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ავჭალის №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მომხდარი არეულობის ხელახალი გამოძიება; უნდა მოეხსნათ ბრალდება ე.წ. ბუნტის ორგანიზატორებს; დაისაჯონ წამებაში მხილებული დაწესებულების თანამშრომლები და დროულად აღდგეს ავჭალის №11 დაწესებულება, რადგან მსჯავრდებულები ამჟამად არასათანადო პირობებში იმყოფებიან.

# გულბაათ რცხილაძე: „ჩვენს ხელისუფლებას რუსეთისკენ შემობრუნება მოუწევს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

როგორც პრიშტინაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სერბეთმა აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა. ეს არასოდეს მოხდება. პირიქით, სერბეთი დიალოგს აწარმოებს ყველა ოპონენტთან. ამიტომ, რატომ უნდა ნიშნავდეს თბილისში რუსეთის საელჩოს არსებობა ჩვენი მხრიდან ტერიტორიების აღიარებას?

*— როგორია თქვენი ხედვა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში?*

— პირველ რიგში, უნდა დასრულდეს კომედიური ჟანრის სპექტაკლის გათამაშება იმის თაობაზე, რომ აფხაზ და ოს „ძმებს“, რომლებიც დასანახად ველარ გვიტანენ უკვე, რუსეთის გარეშე დაველაპარაკებით და მეტიც, ჩავრთავთ დიალოგში. ეკა ტყეშელაშვილმა თავისი „ჩართულობის სტრატეგია“ წაუღოს სააკაშვილს და ავლაბრის მახინჯ სასახლეში უკითხოს, თან „საზეპიროები“ ამეორებინოს. ჩვენ ეს სისულელე არ გვჭირდება. როდესაც ჩვენ დავალაგებთ ურთიერთობებს რუსებთან, მხოლოდ მაშინ გაჩნდება აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის შანსი.

*— რამდენად თავსებადია საქართველოს მიერ ევროკავშირისკენ აღებული კურსი და საქართველო-რუსეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა?*

— საქართველოს მიერ ევროკავშირისკენ აღებული კურსი რუსეთს არ აღელვებს, ისევე, როგორც საკუთრივ ევროკავშირს.

*— როგორ ფიქრობთ, რა არის ის გადაუდებელი და უკვე ამ ეტაპზე აუცილებელი პირობები, რომელიც საჭიროა ურთიერთობების აღდგენის პროცესის დასაწყებად?*

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აუცილებელია უკვე ამ ეტაპზე. თუმცა საქართველოს ხელისუფლება სულაც არ უნდა იყოს მთხოვნელის პოზაში ჩამდგარი. შეიძლება ამ ურთიერთობების აღდგენა ღირსეულად, ბოლოსდაბოლოს, ორივე მხარის ინტერესებშია დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთსაც სჭირდება საქართველო, თუმცა ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება რუსეთი, მაგრამ მაინც... ამიტომ სულ პირველ – მოსამზადებელ ეტაპზე საშუალება უნდა მიეცეთ ორი ქვეყნის ექსპერტებს, გარკვეული ურთიერთობების მოდელები გამოიმუშავონ, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან და ასე შემდეგ. სწორედ პოლიტიკის ექსპერტებმა უნდა მოახდინონ კულტურული ღონისძიებების ინიციატივები, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ხელშეწყობით. რელიგიური ფაქტორი არ დაგვავიწყდეს – თუნდაც ის, რომ რამდენიმე ქართული სასწაულმოქმედი ხატია რუსეთში, რუსეთის ეკლესიის უდიდეს სიწმინდეებს შორის! და რამდენად სუსტად ისმის ჩვენი ეკლესიის ხმა ორმხრივი ურთიერთობების სასარგებლოდ... ასე რომ, ეკლესიასაც უნდა მივცეთ საშუალება, დააახლოოს ერთმანეთთან ჩვენი პოლიტიკოსები.

# მამუკა არეშიძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან“

## რა თანამდებობაზე თქვა უარი მამუკა არეშიძემ?

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

*— ბატონო მამუკა, თქვენ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სააგენტოსთან საუბრისას განაცხადეთ, რომ თუკი ქვეყანაში კრიზისი შეიქმნება, შესაძლოა საპარლამენტო არჩევნები ხელახლა დაინიშნოსო. რატომ გააკეთეთ ასეთი განცხადება?*

— არასწორად იყო ინტერპრეტირებული ჩემი ნათქვამი. როდესაც მკითხეს, შესაძლებელია თუ არა დაინიშნოს ახალი არჩევნები, მე ვუპასუხე, რომ არაფერი არ არის გამორიცხული.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ ამის ძალიან ბევრი არგუმენტია და მათ შორის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი. დღევანდელი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების ერთი ნაწილი, თუნდაც მცირე, მე მათ გვარებს, ბუნებრივია, არ დავასახელებ უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ეს ადამიანები ჩემთვის არიან დამნაშავეები. სხვადასხვა ტიპის, ზოგი სისხლის სამართლის, ზოგი სამოქალაქო და ასე შემდეგ. ზოგიერთმა ისე გააყალბა არჩევნები, რომ დღევანდელი პროცესების ფონზე, მიკვირს კიდევაც, როგორ არ რცხვენიათ, პარლამენტში რომ სხედან. მე მონაწილე ვარ ამ ყველაფრის და ვიცი, მათი უშუალო მითითებით ხდებოდა ეს ყველაფერი. ზოგიერთი მათგანი არის სისხლის სამართლის დამნაშავე. ზოგიერთი კი წლების განმავლობაში უსინდისოდ ძარცვავდა თავის რეგიონს, ან ადგურებდა იქაურობას. ზოგიერთს ჰქონდა უბრალოდ დიქტატორული რეჟიმი თავის რეგიონის ტერიტორიებზე. ესენი ყველანი დამნაშავეები არიან და წარმოიდგინეთ, უცებ ამდენი სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრას უმცირესობის საპარლამენტო წარმომადგენლობის, ვთქვათ, ერთი მესამედის წინააღმდეგ. ეს ხომ არის ისეთი ვითარება, რომელიც საპასუხო რეაქციის უფლებას გაძლევს. ახლა მოგახსენებთ ერთ კიდევ მნიშვნელოვან არგუმენტზე – მე ვხედავ საბოტაჟის ნიშნებს ქვეყანაში. მე პირდაპირ ვიცი, თბილისის ერთ-ერთი გამგეობის აპარატის უფროსი როგორ უბიძგებს „სოციალურად დაუცველ“ ადამიანებს სხვადასხვა ობიექტში შეჭრისაკენ. ხაზი მინდა გავუსვა, ლტოლვილებს კი არა, სოციალურად დაუცველ ადამიანებს.

*— ვხედავთ კიდეც, ამ მხრივ რა ხდება თბილისში, ბატონო მამუკა...*

— სწორედ ამას ვამბობ და ეს ვითომდა „სოციალურად დაუცველი“ ადამიანები უკვე კარგა ხანია დაკმაყოფილებული არიან ბინებით. მე ერთი ქალბატონის სურათი მომაწოდეს, რომელსაც გლდანი-ნაძალადევის რაიონში შვიდი ბინა აქვს მიღებული და გაყიდული და კიდევ იკლავს თავს ბინა მომეცითო. ანუ ის პირდაპირ დაკვეთას ასრულებს. ეს არის მეორე არგუმენტი, როდესაც საბოტაჟი იქმნება. ხშირ შემთხვევაში, ჭიათურა იქნება თუ სხვა რაიონი, მუშებმა არც იციან, ვის დავალებას ასრულებენ, ზოგ შემთხვევაში იციან ძალიან კარგად, მაგრამ მაინც აკეთებენ ამას. ესეც მნიშვნელოვანი თემაა. კიდევ საბოტაჟის რა ფორმებს აირჩევს ჯერჯერობით ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა, მე არ ვიცი. ამბობენ, უმცირესობაში ვართო. საზოგადოებაში ამკვიდრებენ ასეთ აზრს, რომ თითქოს აღარ არიან ხელისუფლებაში და ეს ასე არ არის, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებაში მათ საკმაოდ სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავთ. თბილისის მერია არის ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ორგანო და მათი წარმომადგენლობაა თითქმის მთლიანად. ამიტომ ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში არ არის, ეს არის ტყუილი. აქედან გამომდინარე მათ სერიოზული ბერკეტები აქვთ. გარდა მაგისამ მათ მერიაში შექმნეს სპეციალური სამსახური, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი არმიის შექმნაზე. რამდენიმე სპეციალური დანიშნულების რაზმი პირადაპირ დაუქვემდებრეს ამ სამსახურს. მათ შორის შავნაბადასი.

*— რა არის მათი მიზანი?*

— მიზანი სხვა საკითხია, მე ვლაპარაკობ იმაზე, ჯერ რა მონაცემები გვაქვს. ესეც მესამე არგუმენტი. გარდა ამისა, ისინი საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ რესურსებს ფლობენ. ნაციონალური მოძრაობის ლობისტურ კომპანიებს ევროპასა და ამერიკაში მუშაობა არ შეუწყვეტიათ, პირიქით, გაუორმაგდათ მათ ანაზღაურება, მაშინ როდესაც, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ქართული ოცნების ლობისტურმა კომპანიებმა მუშაობა პრაქტიკულად შეაჩერეს. ეს არის კომპლექსური მიდგომა,



რომელმაც საბოლოო ჯამში შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაცია. აი, ამას ვამბობ. აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავ, რომ „უმცირესობის“ ამ ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს კონტრქმედება მეორე ძალისა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა. საქმე ის არის, რომ დღეს ორივე ძალა ხელისუფლებაშია.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ ნაციონალებს სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლიათ ახალი ხელისუფლებისთვის?*

— რასაკვირველია. თან უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, მე ვხედავ, რომ ძალოვან სტრუქტურებში იქნება თუ სხვა სამინისტროებში, ნაციონალები ცდილობენ, რომ თავისი კადრები შეუშვან. ხშირ შემთხვევაში ეს კიდეც გამოსდით. მაგალითად, მათ ტაქტიკა აირჩიეს ასეთი, რომ საშუალო ჩინის ოფიცერთა ნაწილი, თავისი ერთგული ადამიანები გადაიყვანეს ოპერების თანამდებობაზე. ოპერი არის უდაბლესი თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში. ფუთავენ ამ ხალხს იმისთვის, რომ კადრები შეინარჩუნონ შიგნით. ლოგიკა არ არის ხომ, მიხვიდე და ოპერები გაყარო სამსახურიდან. აქედან გამომდინარე ვხედავ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში აპირებენ ამ რესურსის შენარჩუნებას, რამდენად გამოუვათ, ეს მეორე საკითხია. აქტიური მუშაობა მიდის.

*— თვლით, რომ ეს სახიფათოა?*

— სახიფათოა, რასაკვირველია. ისინი სერიოზულად ემზადებიან.

*— რისთვის ემზადებიან?*

— ისინი არც მალავენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის ემზადებიან. მათ თუ გამოუვიდათ ის, რასაც აპირებენ, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების პარალიზება, რასაკვირველია, მერე მარტივად შეეძლებათ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ მიმდინარე პოლიტიკა ქართული ოცნებისა და მოითხოვონ რაღაცა დივიდენდები თავისთვის და ასე შემდეგ. მათი ამოცანაა, რომ ასეთი რამ მოხდეს. სხვანაირად თავის დაქადნებაზე ვერც იფიქრებდნენ. ეს არის ხელისუფლებაში დაბრუნება.

*— თუმცა არსებობს ვარაუდები, რომ ბევრი მათგანი სისხლის სამართლის დამნაშავეა და ელოდებიან თუ როდის აღდგება ქვეყანაში სამართლიანობა და როდის მიეცემა ეს ხალხი პასუხისგებაში. ამ შემთხვევაში თუ განეიტრალდებიან ნაციონალები და რამდენად ხედავთ თქვენ ამის შესაძლებლობას?*

— თუ ქართული ოცნება იქნება კატეგორიული თავის გადაწყვეტილებებში და თავის მიდგომებში, მაშინ ამის გაკეთება ძალიან იოლად შეიძლება. ისე, რომ ამას არ მიეცემა პოლიტიკური დევნის ფორმა, რისი იმედიცა აქვს ნაციონალურ მოძრაობას. ისინი ამზადებენ შესაბამის დოკუმენტებს იმისთვის, რომ როდესაც დაიწყება მათი დანაშაულებრივი ქმედებების დემონსტრირება, აიფარონ პოლიტიკური დევნილის მანტია. ამიტომ ძალიან კონკრეტული, ძალიან გააზრებული და შესაბამისი მუშაობაა იმისთვის საჭირო, რომ ეს შანსი მათ არ მიეცეთ. ამისთვის კი ბევრად ორგანიზებული მუშაობაა საჭირო. ჯერ ორი დღეა, რაც მინისტრები თავიანთ კაბინეტებში შეივიდნენ, მე ამ ყველაფერს გაფრთხილების ფორმას ვაძლევ და ეს არ გაიგონ ისე, რომ თითქოს ვილაცას მუშაობას ვუწუნებ. გაფრთხილების ფორმით ვამბობ, რომ შეიძლება ეს მოხდეს იმიტომ, რომ ამის მაგალითი მსოფლიო ისტორიაში არსებობდა არა ერთი. ამის მაგალითები ჩვენს თვალწინ გვქონდა ჩვენი ცხოვრების განმავლობაში.

*— ნაციონალები ცდილობენ კარგად მოირგონ ოპოზიციონერის იმიჯი...*

— ცდილობენ, თუმცა ძალიან გაუჭირდებათ. ესენი იმდენად კარგად არიან ორგანიზებულები, რომ თუ აკვირდებით, ჯგუფურ ოპონირებას ახდენენ პარლამენტში. ყველა ლაპარაკობს ერთი და იმავე ტექსტით. ნებისმიერი ადამიანის მწყობრიდან გამოყვანა შეიძლება ასეთი ფორმით, როცა ყველა ერთსა და იმავეს ელაპარაკება და არ ჩერდება. თანაც არანაირი არგუმენტები მათზე არ ჭრის.

*— სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ჩვენ ჯადოქრები ვართო და როგორც ჩანს, აქვთ დაბრუნების იმედი...*

— რასაკვირველია, აქვთ და მეორეც, ცნობიერებაში ამკვიდრებენ იმ აზრს, რომ ისინი მალე დაბრუნდებიან. ამით ისინი სტიმულს აძლევენ თავის რიგით მომხრეებს, რომლებიც ყურჩამოყრილები არიან. ის საბოტაჟები, რაც დღეს თბილისში ხდება, სწორედ მათი რიგითი მხარდამჭერების ნამუშევარია. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე თვალში გამოიხედეს.

*— ახალმა ხელისუფლებამ ალბათ სწორედ ამ პრობლემების მოგვარებით უნდა დაიწყოს...*

— ოპონენტი მეტყვის, რომ ადგილობრივი მმართველობა ჩვენს ხელში არ არის და ვერაფერს ვერ გავაკეთებთო. როგორ ვერ გააკეთებენ, გაკეთება ძალიან მარტივად შეიძლება, აი ასეთ გზას ვთავაზობ, შეადგინონ ამ ხალხის სიები, ვინც შეიჭრა და გამოითხოვონ მერე გამგეობებიდან, ვის რა აქვს მიღებული წლების განმავლობაში და ნახავთ თქვენ, რა სურათიც იქნება.

*— ბატონო მამუკა, რაც შეგეხებათ პირადად თქვენ, ფაქტია, რომ ეს არჩევნები წაგაგებინეს... დღეს უამრავ თანამდებობაზე მოიაზრებით, ითქვა ისიც, რომ პირველი არხის ხელმძღვანელობა შემოგთავაზეს, ეს სიმართლეა?*

— ვერ გეტყვით, არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა არავის მხრიდან. ერთ-ერთ თანამდებობაზე იყო შემოთავაზება, რომელზეც მე უარი ვთქვი, მაგრამ ტელევიზიასთან არანაირ კავშირში არ არის. ეს ხმები მეც მესმის, მაგრამ ვინმეს რომ რამე ეთქვას, ეს არ ყოფილა.

*— რა თანამდებობაზე თქვით უარი, თუ საიდუმლო არ არის?*

— არა, ამას ვერ გეტყვით. უარი ვთქვი და ახლა სხვა ადამიანი მუშაობს იქ და რატომ ჩავაყენო ის კაცი უხერხულ მდგომარეობაში.

*— ყველა პროცედურა ამოწურეთ, თქვენ ხომ გაასაჩივრეთ არჩევნების შედეგები?*

— გასაჩივრებები ჩვენ წავაგეთ და აქედან გამომდინარე ჩვენ დავიწყეთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ორი საქმე უკვე აღძრულია და სწორედ ამის მეშვეობით შევეცდებით, რომ სამართლიანობა ალვადგინოთ. მე მარტო არა ვარ ამ საქმეში, რამდენიმე მაჟორიტარობის კანდიდატი ჩემს მდგომარეობაშია და ჩვენ ერთად ვმოქმედებთ ამ მიმართულებით. იმიტომ, რომ ის ადამიანები, ვინც ასე თავხედურად გააყალბა არჩევნები, პარლამენტში არ უნდა იყვნენ. ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ბიოგრაფიაში, არც ის უნდა იყოს და ვიმეორებ, ასეთები ბევრია. შესაბამისი ნაბიჯები აუცილებლად გადაიდგმება. ბატონი არჩილ კბილაშვილი ჯერ არც შესულა კაბინეტში და აქედან გამომდინარე რთულია, ამ კაცს მოსთხოვო დღეს და ხვალ გააკეთოს ყველაფერი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, შეიქმნება სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც ამ საქმეებით იქნება დაკავებული და ყველას თავისი მიეზღვება აუცილებლად. ასე რომ, ჩვენ ამ საქმეს არ მოვეშვებით. ხაზგასმით ვამბობ, მე გარდაბანს არ მოვეშვები, იმიტომ, რომ ეს საფაშო უნდა დაინგრეს. ისევე უნდა დაინგრეს, როგორც თავს დროზე დაინგრა სხვა რეგიონებში. სირცხვილია, საქართველოს დედაქალაქის გვერდზე იმყოფებოდეს პრაქტიკულად ავტონომიურ-ფეოდალური წარმონაქმნი, რომელიც თავისი კანონებით ცხოვრობს.

# იტალიელი მაესტრო ოპერის ორკესტრს უდირიჟორებს

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი იტალიელი დირიჟორი და პიანისტი სტეფანო მიჩელი თბილისს გასტროლის ფარგლებში ეწვევა და პირველ ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან ერთად მსმენელს რუჯერო ლეონკავალოს ოპერაზე „ჯამბაზები“ მიიწვევს.**

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აცხადებს, მსმენელი იტალიური ვერიზმის კაშკაშა შედევრს საკონცერტო შესრულებით მოისმენს. „ჯამბაზებს“ ააჟღერებენ ოპერის სოლისტები ანზორ ხიდაშელი (კანიო), ირინე თაბორიძე (ნედა), სულხან გველესიანი (ტონიო), მამუკა ტეფნაძე (სილვიო), გიორგი მახარაძე (პეპე), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაორშაძე) და სიმფონიური ორკესტრი (კონცერტმაისტერი – ლელა მჭედლიძე).

– სტეფანო მიჩელიმ სწრაფად დაიმკვიდრა თავისი თაობის საუკეთესო ხელოვანის რეპუტაცია. იგი მსოფლიოს სცენებს სტუმრობს როგორც ბრწყინვალე პიანისტი და საინტერესო ხელწერის დირიჟორი. მიჩელიმ დაამთავრა „სან პიეტრო მაჯელას“ მუსიკალური უნივერსიტეტის საფორტეპიანო ფაკულტეტი დოქტორის ხარისხით. კომპოზიციას და დირიჟორობის ხელოვნებას დაეუფლა დონატო რენზეტის ხელმძღვანელობით პესკარაში (იტალია). მიუხედავად იმისა, რომ დოქტორის ხარისხი ამ სფეროშიც მოიპოვა, შემდგომი პროფესიული სრულყოფისთვის სწავლა გააგრძელა ფლორენციის ფიეზოლეს აკადემიასა და ვაშინგტონის კათოლიკურ უნივერსიტეტში. მას თანამშრომლობა აკავშირებს მსოფლიოს ცნობილ სიმფონიურ, კამერულ და საოპერო თეატრების ორკესტრებთან: მოცარტეუმის, ევროპის, პეკინის, ლონდონის, სლოვაკეთის, კრუსის, ისრაელის, იტალიის, ლა სკალას თეატრის, ვენეციის ლა ფენიჩეს, ვენესუელის ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან „ელ სისტემა“, მილანის „პომერიჯი მუზიკალისთან“, ნეაპოლის სკარლატის სახელობის ორკესტრთან, სან-რემოს და ტრენტოს, მარკეს, პორდენონის ფილარმონიულ ორკესტრებთან. იტალიელი მაესტრო იყო ლაიფციგის ფილარმონიული ორკესტრის მთავარი მიწვეული დირიჟორი, იტალიის ფილარმონიული ორკესტრის რეზიდენტი დირიჟორი, დალასის ვირტუოზების კამერული ორკესტრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, 2012-2014 წლებში სტეფანო მიჩელი იქნება ნეშვილის ხელოვნების საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი.

ხელოვანი თანამშრომლობს ისეთ ცნობილ კამერულ ანსამბლებთან და სოლისტებთან, როგორებიც არიან ზალცბურგის კამერული ანსამბლი, ბოსტონის არიელ-კვარტეტი, ოფის სოლისტები, მადლენ რენე, დონატო რენცეტი, გაბორ ბოლდოცკი, ალექსანდრე პინჩევი, კატერინ სპააკი, ჯოშუა სტოუალი. როგორც დირიჟორი და პიანისტი სტეფანო მიჩელი მნიშვნელოვანი ფესტივალების და ცნობილი ოპერის თეატრების თუ საკონცერტო დარბაზების ხშირი სტუმარია, მათ შორისაა, ცერვოს, ტივოლის და რაველოს საერთაშორისო ფესტივალების, ვაშინგტონის რომის თეატრის, ბერგამოს დონიცეტის სახელობის თეატრის, ცაის თეატრის, ლა ფენიჩეს, ახალი ორლეანის ლე პეტი თეატრის, მარაკაიბოში ნატიფ ხელოვნებათა თეატრის, სან-რემოს საოპერო თეატრის, კარნეგი-ჰოლის, გევანდჰაუზის, ბოსტონის სიმფონიური დარბაზის, მელბურნის დედოფალ ვიქტორიას ეროვნული გალერეის დიდი დარბაზის, ბეემვეს თეატრის ფედერაციის დარბაზის, პეკინის ფორბიდენ-სითის საკონცერტო დარბაზის, მილანის, რომის, გენუას პალაცო დუკალეს, ლას ვეგასის, ოკლაჰომა-სითის, მადრიდის, ლუგანოს დარბაზები. აღსანიშნავია სტეფანო მიჩელის, როგორც სოლისტის და დირიჟორის დებიუტი ნიუ იორკში, კარნეგი ჰოლში ორი წლის წინ. ეს ხელოვანი „იტალიური აკადემიის ფონდის“ მიერ არჩეულ იმ ხუთ არტისტში მოიაზრება, რომლებიც საკონცერტო გამოსვლებისთვის კარნეგი ჰოლისა და ლინკოლნ-ცენტრის პროგრამებით არიან შერჩეულნი. იტალიელი ხელოვანის ბოლო წლებში განხორციელებულ პროექტებს შორის გამოირჩევა „ლუჩია დი ლამერმური“ (ნეაპოლის სან კარლოს თეატრი), „ბალ-მასკარადი“ (რომის საოპერო თეატრი), „ჯოკონდა“ (არენა დი ვერონა), ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში და სამხრეთ ამერიკაში იდირიჟორა ოპერები „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ნაბუქო“, „სიყვარულის ნექტარი“, „ლუჩია დი ლამერმური“, „რომეო და ჯულიეტა“. სტეფანო მიჩელი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორების – ბუსოტის, ბერიოს, ბიანჩინის, პაგოტოს, პიერამის, ბაგიანის, მაჯიოს ნაწარმოებებს, რომელთაგან ზოგიერთი კომპოზიციები თავად მას ეძღვნება. სტეფანო მიჩელი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც მიწვეული და საპატიო პროფესორი ბოსტონის, ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტებში, იტალიის როვერეტო ზანდონაის სახელობის და პრატოს ვერდის სახელობის უმაღლეს მუსიკალურ სკოლებში. სტეფანო მიჩელი იტალიის პრეზიდენტმა ჯიორჯიო ნაპოლიტანომ ვერცხლის მედლით დააჯილდოვა. იტალიელი ხელოვანი ბერგამოს კულტურის საერთაშორისო ფესტივალის დამაარსებელი და მხატვრული დირექტორია, ასევე ვერონაში სტეინვეის საზოგადოების აკადემიის და ტენგლვუდის ინსტიტუტის რეზიდენტი პროფესორი, ბერგამოს დონიცეტის თეატრის საპატიო არტისტი. გასული წლის სექტემბრიდან სტეფანო მიჩელის სტეინვეის არტისტის წოდებაც მიენიჭა, – ამბობს ზურაბ ოიკაშვილი.

რუჯერო ლეონკავალომ პიეტრო მასკანის ოპერის „სოფლის ღირსების“ წარმატებით მოხიბლულმა გადაწყვიტა, თავადაც დაეწერა მცირე ზომის რეალისტური ოპერა. მან ოპერის ლიბრეტო შესთავაზა მილანელ გამომცემელს ედოარდო ზონცონოს, რომელსაც მასკანისთანაც ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი და ოპერის შექმნაზე თანხმობაც მიიღო. „ჯამბაზების“ პრემიერა „სოფლის ღირსების“ პრემიერიდან ორი წლის შემდეგ გაიმართა მილანის „ტეატრო დალ ვერმეში“ არტურო ტოსკანინის დირიჟორობით. ამ ოპერის ტრიუმფმა ლეონკავალო ცნობილ პიროვნებად აქცია.

– ოპერის ლიბრეტო შთაგონებულია კატულ მენდესის მიერ გამოქვეყნებული პიესით „ტაბარენელი ქალი“. ლეონკავალო ამ პიესის პრემიერის დროისათვის პარიზში ცხოვრობდა და სავარაუდოა, რომ ეს წარმოდგენაც იხილა, შთაგონების წყარო შეიძლება გამხდარიყო აგრეთვე მანუელ ტამაიო ი ბაუსის ესპანური პიესა „ახალი დრამა“, რომლის პრემიერაც მადრიდში შედგა და რომელიც

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# „ბაჩო ახალაიამ და დიმიტრი შაშკინმა სააკაშვილს დიდი დარტყმა მიაყენეს“

შორენა კოწოწაშვილი

**რა დარტყმა მიაყენეს სააკაშვილს ქვეყნიდან გაქცეულმა მინისტრებმა და დაჯდება თუ არა პრეზიდენტი საბრალდებო სკამზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სააკაშვილის ყოფილ მრჩეველ იგორ ჯვესელავასთან.**

*– ბატონო იგორ, თქვენ იყავით პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი. შეაფასეთ მისი მმართველობა და თქვენი აზრით, რა არის მისი მმართველობის მარცხის მთავარი მიზეზი?*

– მე მართლაც ვიყავი სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი, რომელშიც გაერთიანდნენ პროფესორები სოსო ცინცაძე, რამაზ საყვარელიძე, გიორგი გაჩეჩილაძე და მე. დეტალებში ჩაღრმავება არ გვინდა, მაგრამ საკმაოდ საინტერესო საქმიანობას ვეწეოდით. ყოველ ოთხშაბათს ვიკრიბებოდით და პრეზიდენტს ვაძლევდით ჩვენს შეხედულებებს საქართველოში მიმდინარე საშინაო და საგარეო პროცესების შესახებ. აი, ეს ზოგიერთი კრიტიკული პოზიცია ჩვენი, მე ფიქრობ, მისთვის აღმოჩნდა მიუღებელი, რამაც გამოიწვია კიდევაც მოულოდნელად, ყოველგვარი შეტყობინებისა და მადლობის გარეშე, საბჭოს ფუნქციონირების შეწყვეტა. ხელისუფლების გადაბარება ან გადაცემა ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნებისთვის“, მე კანონზომიერ მოვლენად მიმაჩნია. რაც შეეხება სააკაშვილის გუნდის დამარცხების მიზეზებს, მიზეზი ძალიან ბევრია, ამიტომ ძირითადებს ჩამოვთვლი. პირველი მიზეზი, მე ვფიქრობ, არის ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ თავიდანვე არასწორი კურსი აირჩია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების. მე ვფიქრობ, რომ არასწორი იყო სააკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ ცარიელი ფურცლიდან, არაფერი საქართველოს ისტორიაში არ გაკეთებულა 90 წლიდან და მოდის ახლა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ყველაფერს ნულიდან იწყებს. ეს იყო არასწორი დამოკიდებულება. ეს იყო წარსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ეს კი აწმყოს კარს ვერ გაუკეთებს, მით უმეტეს, მომავალს. ეს ერთი მიზეზი. მე ვფიქრობ, მეორე მიზეზი გახლდათ არასწორად აქცენტირებული რეფორმები. რეფორმები აუცილებლად სჭირდებოდა ქვეყანას, რომელიც იმართებოდა კლანურ-ნათესაური სისტემით. მაგრამ რეფორმების კუთხით სააკაშვილმა არასწორი გზა აირჩია. ეს იყო ნაჩქარევი გზა. თან ამის გაკეთება მოინდომა ახალგაზრდა და გამოუცდელი თაობით. უმეცარი, ზოგჯერ უცოდინარი ადამიანებით. ასე ნაჩქარევად ჩატარდა, მაგალითად, განათლების რეფორმა, რომელმაც გამოიწვია მთლიანად უნივერსიტეტების და აკადემიის სისტემის დანგრევა; იმ პერიოდისთვის არსებული სამეცნიერო კადრების განადგურების მცდელობა. ჩვენ დავინახეთ, როგორ გამოდევნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 500-მდე პროფესორ-მასწავლებელი, რომლებიც ქუჩაში დარჩნენ.

*– იმ პერიოდის ცნობილი ფრაზაა ჩარეცხილების თემა. გქონდათ თუ არა ჩარეცხილებთან დაკავშირებით პრეზიდენტთან საუბარი და ნიშნავს თუ არა სააკაშვილის მხრიდან შეცდომის აღიარებად მისი მხრიდან წინასაარჩევნოდ განათლების სფეროს წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღება?*

– სააკაშვილი განათლების სფეროს იმ მუშაკებს, რომლებიც გაათავისუფლა მან კახა ლომაიას რეფორმის შედეგად, არ ეფერებოდა. ის ეფერებოდა იმ ჯგუფს, მეცნიერების გარკვეულ ჯგუფს, რომლებსაც არ ჰქონდათ სამეცნიერო ხარისხები და ვერც მიიღეს. მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უნივერსიტეტებში აბსოლუტურად უხარისხოები კითხულობდნენ ლექციებს. არავითარი ხარისხი არ ჰქონდათ და ისე მიჰყავდათ სალექციო კურსი. მე არ ვიცი, ისინი რა პროფესორები იყვნენ და როგორი იყო სტუდენტების ხედვა მათ მიმართ, მაგრამ მან შექმნა გარკვეულწილად ელიტარული ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფი, რომელიც მისთვის იყო მისაღები და ამ ჯგუფისათვის იყო სააკაშვილის ხელისუფლება მისაღები. აი, ამ ჯგუფს ეფერებოდა სააკაშვილი. მათ ჯგუფში აღმოჩნდნენ განათლების მუშაკები, მუსიკოსები, მხატვრები და სხვა დარგის წარმომადგენლები, რომლებიც მას მუდმივად დაყვებოდნენ, სადაც ის დადიოდა.



*– ახალი ხელისუფლების ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი ჯერ ბოლომდე დამარცხებული არ არის. როგორც მისი მრჩეველი, რა საფრთხე შეიძლება მოდიოდეს პრეზიდენტისგან, რომლის გუნდიც ოპოზიციაშია და რომელიც ხელისუფლების გადაბარების პროცესშია?*

– მე ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება და მისი მობრუნება ხელისუფლებაში წარმოუდგენელია. ეს არის შეუძლებელი. ჩვენ ახლა დავინახავთ პროცესებს, რომელიც რეგიონებშიც და დედაქალაქშიც უკვე დაწყებულია, როდესაც თანდათანობით ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ეთხოვებიან ამ პარტიის რიგებს.

*– ანუ ვერც ძლიერი ოპოზიციური ფლანგიდან ვერ შეინარჩუნებს სააკაშვილი ძლიერ გუნდს და სერიოზულ პოლიტიკურ დასაყრდენს?*

– სააკაშვილის გუნდი რომ სუსტი აღმოჩნდა და არა ერთგული პრეზიდენტის მიმართ, ამას ადასტურებს იმ მინისტრების გაქცევა, რომლებმაც საქართველო დატოვეს. სწორედ ეს არის ღალატი. ეს არის, პირველ რიგში, სააკაშვილის ღალატი, როდესაც იუსტიციის მინისტრი, თავდაცვის და, გნებავთ, შს მინისტრი ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას და გააქვს საიდუმლოებები. თქვენ იცით, რომ ეს ისეთი დაწესებულებებია, რომლებსაც აქვთ გარკვეული საიდუმლოებები ქვეყნის ინტერესებთან დაკავშირებული.

*– ანუ ადეიშვილმა, დიმიტრი შაშკინმა და მერაბიშვილმა, მასზეც ითქვა, რომ ქვეყნიდან გავიდა, პირველი დარტყმა სააკაშვილს მიაყენეს?*

– რა თქმა უნდა, მეორე დარტყმა კი ქვეყანას მიაყენეს. ამას სააკაშვილი არ აცხადებს, თორემ ეს ასეა. ფაქტია, რომ სააკაშვილის გუნდი უკვე იშლება.

*– ქვეყნის გარეთ მინისტრების გაქცევა შეიძლება ისეც იქნეს გაგებული, რომ პოსტებზე ყოფნის დროს ისინი სააკაშვილის ინტერესებს გარკვეულწილად იგნორირებასაც უკეთებდნენ და პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ? თქვენ ამბობთ, რომ პირველი დარტყმა მათ სააკაშვილს მიაყენეს. გამოდის, მათ პრეზიდენტის იმიჯი აღარ ადარდებთ.*

– მე თქვენ გეთანხმებით ამაში, მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ როდესაც ქვეყანაში დიქტატურაა, დიქტატორებს ყველა ასე ემორჩილება. დიქტატორებთან ყველა ასე ფეხქვეშ არის განრთხმული, მაგრამ როდესაც დგება მათი რყევის პროცესი, აი, ასე განუდგებიან ხოლმე და შეიძლება საპირისპიროდ კიდევაც სხვა მომენტებთან გვქონდეს საქმე. თავიდანვე ვიცოდი, რომ სააკაშვილს ეს გუნდი ბოლომდე ვერ შერჩებოდა. უკვე 9 წელია ეს გუნდი ხელისუფლებაში ტრიალებს – მთავრობაში, პარლამენტში. მისი გუნდი ჯერ მოქალაქეთა კავშირში იყო, მერე ნაციონალურ მოძრაობაში გადმობარგდნენ და უკვე ბევრი ფიქრობს, თანდათან რაღაც გზები იპოვონ და ინფორმაციებიც არის, რომ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით თავისუფლება შეინარჩუნონ და შეინარჩუნონ ის, რაც მათ მოიმკეს. მხედველობაში მაქვს ის ეკონომიკური კეთილდღეობა, რომელიც მათ შეიძინეს არა მარტო ხელფასებით.

*– არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უნდა გასამართლდეს? ბევრი ხმაურიანი თემა იქნა ქვეყნის გარეთ გატანილი და ევროსაბჭოსა თუ ევროსასამართლომდე მისული. თქვენი აზრით, მიიყვანს თუ არა საბოლოოდ ეს ფაქტები სააკაშვილს საბრალდებო სკამამდე?*

– გეთანხმებით, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს იმ დანაშაულობების გამორკვევა და საზოგადოებისთვის გაცნობა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ გამოძიების საშუალებით. ეს უნდა მოხდეს სიმართლის დადგენის მიზნით. ეს ისე კი არ არის, დავუშვათ, დღეს რომ გამოდის ზოგიერთი პარლამენტარი, იგივე დარჩიაშვილი, წიკლაური და ეს „მოაზროვნეები“, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ესენი წარმოადგენენ საქართველოს და ქვეყნის პატრიოტებს მხოლოდ, ეს არავითარი პოლიტიკური დევნა არ არის. ეს არის სიმართლის გარკვევა, ეს არის მხილება დანაშაულისა, რომელიც მათ ჩაიდინეს. ამიტომ აუცილებლად უნდა იყოს ამაზე საზოგადოებრივი მსჯელობა. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი კომისიები. ჩვენი პოლიტიკური აკადემიაც, რომელშიც უამრავი ექსპერტი და პროფესორია, სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას. საქმე ისაა, რომ ჩვენ ამის პრეცედენტი არა გვაქვს. საქმე ისაა, რომ აუცილებლად უნდა გასამართლებულიყო შევარდნაძის რეჟიმიც და თვითონ შევარდნაძეც. ეს პრეცედენტი უნდა დაგვეშვა, მაგრამ როგორც ცნობილია, სწორედ აშშ გადაეფარა შევარდნაძეს, მიიღო მისგან გარანტიები და ახლა კრწანისში ბრძანდება.

*– სააკაშვილს აღარ გადაეფარება ამერიკა და მისგან „ვარდების რევოლუციის“ ავტორი გარანტიებს ვერ მიიღებს?*

– უნდა დაგეთანხმოთ, ალბათ აშშ სააკაშვილს გადაეფარება. იმიტომ, რომ აშშ-ში, მათ პოლიტიკაში ასეთი ფორმულაა – გარეწარია, მაგრამ ჩვენი გარეწარია. ეს ფორმულა, რომელიც უკვე ერთი საუკუნეა მოდის ამერიკიდან, დღესაც ვრცელდება. იგივე ჰუსეინი, კადაფი და ეგვიპტის ხელმძღვანელობა და სხვები, თავის დროზე აშშ-ის მიერ იყვნენ ხელდასხმულები და შემდეგ მტრები აღმოჩნდნენ.

*– რას იტყვით პრეზიდენტისა და საპარლამენტო ნაციონალური უმცირესობის შეხვედრაზე, სადაც სააკაშვილის გუნდის წევრები აქტიურად ითხოვდნენ ბიძინა ივანიშვილისგან კონკრეტული ვადების დასახელებას, როდიდან გაიზრდება პენსიები და ა.შ.*

– უნდა გითხრათ, რომ ოკეანედალეულთა (სხვათა შორის, ეს ტერმინი ჩემი შემოღებულია) დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ, მათ უმეცრებაზე და არასერიოზულობაზე მიუთითებს. ვფიქრობ, პარლამენტში დარჩენილი რამდენიმე კაცი, ეს არის გარკვეულწილად მსუბუქი ჟანრის პოლიტიკოსთა გუნდი, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ქართული ოცნება“ თავს ვერ გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას და რამდენიმე თვეში დადგება საკითხი სერიოზული ცვლილებების შესახებ და ხელისუფლებაში ისევ თვითონ მოვლენ. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. იმიტომ, რომ მათ ჩადენილი აქვთ ისეთი დანაშაულობები, რომელიც შეიძლება ავიდეს დანაშაულობებთან კაცობრიობის წინაშე, საზოგადოების წინაშე, ჩადენილი აქვთ დანაშაულობები პიროვნებების წინაშე და უსამართლობანი, რომელიც გაკეთებული აქვთ პიროვნულადაც და ჯგუფურადაც. ამიტომ მათი ხელისუფლებაში კიდევ მოსვლა შეუძლებელია. რაც შეეხება მათ მიდგომას იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს, საკმაოდ ჭკვიან კაცს პოლიტიკაში, მან ყველა გათვლა სწორად გააკეთა და დაპირებებიც სწორი ფორმულირება იყო. მან თქვა, რომ საქართველო უნდა გარდაიქმნას სოციალურად და ეკონომიკურად. ის ამას შეასრულებს, თუმცა ამას დრო უნდა. შეიძლება პასუხი და თანაც კონკრეტული მოვთხოვოთ კაცს, რომელსაც ტრადიციულად მიღებული 100 დღეც არ გაუვლია ხელისუფლებაში?! ყველა ქვეყანაში ასეა, რომ 100 დღის შემდეგ სთხოვენ ანგარიშს, ამიტომ ჯერ ვაცალოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ სოტკილავა საპატიო სიგელით დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი



რუსეთში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი ლირიკულ დრამატული ტენორი ზურაბ სოტკილავა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა. მის მიერ წლების განმავლობაში ნაყოფიერი მოღვაწეობისას დაგროვილ ჯილდოებს – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიას, ბოლონიის ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრობას, „ოქროს ორფევსსა" და პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსის გრან-პრისა და პირველ პრემიას, ამიერიდან ვლადიმერ პუტინის მიერ მინიჭებული ჯილდოც დაემატა.

როგორც რუსული მედია იუწყება, ქართველმა საოპერო მომღერალმა ეს საპატიო ჯილდო რუსეთის პრეზიდენტისგან მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და მრავალწლიანი შემოქმედებითი საქმიანობისთვის მიიღო. თუმცა აგსულ წელს ქართველი ხელოვანის სახელი არცთუ ისე სასიამოვნო სკანდალებში გაეხვა – გასულ წელს დიდი თეატრის რეკონსტრუქციის დასრულებისა და საზეიმო გახსნის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველი ხელოვანები ზურაბ სოტკილავა და ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრიდან გაუშვეს, რაც მოგვიანებით დიდი თეატრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ასევე ქართველმა საოპერო მომღერალმა მაყვალა ქასრაშვილმა კატეგორიულად უარყო და ამ ჭორების გასაბათილებლად ის ფაქტი დაასახელა, რომ ამ მაისის თვეში დიდი თეატრის ძირითად სცენაზე ზურაბ სოტკილავას შემოქმედებითი საღამო იყო დაგეგმილი.

ეს ინფორმაცია ასევე კატეგორიულად უარყო ზურაბ სოტკილავას ოჯახმა. მომღერლის ქალიშვილის განცხადებით, საოპერო მომღერალი დიდი თეატრის გახსნაზე მიიწვიეს და ის კონცერტსაც დაესწრო.

– ზურაბ სოტკილავას თეატრი არ დაუტოვებია და მას თეატრის ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემა არ აქვს. თეატრის მიმართ მისი კრიტიკა მხოლოდ მხატვრულ მხარეს ეხება და ამის უფლებაც აქვს, რადგან 40 წელია, ამ თეატრში მუშაობს და გული შესტკივა მასზე. თუმცა, ამ კრიტიკული განცხადებების მიუხედავად, ზურაბ სოტკილავას ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემა არ აქვს. ამას ისიც ადასტურებს, რომ დიდი თეატრის გეგმაში ზურაბ სოტკილავას შემოქმედებითი საღამოა ჩანიშნული და ეს საღამო ძირითად სცენაზე გაიმართება. ზურაბ სოტკილავას შემოქმედებითი საღამოს ჩატარების წინადადება თბილისიდანაც კი არ მიუღია. იგი აგრძელებს თეატრში კონტრაქტით მუშაობას, – განაცხადა ქეთევან სოტკილავამ და რუსული მედიით გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურა.

ამ ჯილდოს მინიჭებამდე ზურაბ სოტკილავას ვლადიმერ პუტინმა დაბადების დღეც მიულოცა. იმ პერიოდში პუტინს ჯერ კიდევ რუსეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა.

– თქვენ ბუნებამ უდიდესი მუსიკალური ნიჭით დაგაჯილდოვათ და მსოფლიო დონის საოპერო მომღერლად გაქციათ. თქვენ ერთგულად ემსახურებით დიდ ხელოვნებას და მუსიკალურ ტრადიციებს მომავალ თაობებსაც გადასცემთ, – ასეთი ტექსტი უძღვნა ვლადიმერ პუტინმა სპეციალურ წერილში ქართველ საოპერო მომღერალს.

ზურაბ სოტკილავა ქალაქ სოხუმში 75 წლის წინ დაიბადა. საოპერო მომღერლის კარიერამდე ის ფეხბურთს თამაშობდა და სამთო ინჟინრის უმაღლესი განათლება მიიღო. თბილისის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო, შემდეგ ლა სკალაში სტაჟიორად გაგზავნეს და უკვე 38 წელია მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. მის მიერ შესრულებული პატიებიდან აღსანიშნავია „აბესალომი" (ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი"), ხოზე (ბიზეს „კარმენი"), კავაროდოსი (პუჩინის „ტოსკა"), ედგარი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური"). ამჟამად ზურაბ სოტკილავა მოსკოვში ცხოვრობს და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. იგი არაერთი პრემიისა და სახელმწიფო ჯილდოს, მათ შორის რუსული ორდენის „მამულის წინაშე დამსახურებისთვის" და ორი ქართული საპატიო ორდენის მფლობელია.

სპორტი

## 19-წლამდელებმა საქმე გაირთულეს

**საქართველო – აზერბაიჯანი 1:1**

1:0 სამუშია (10), 1:1 მირზაევი (70)

**საქართველო:** თებიძე, დვალი, სანდოხაძე, გეგეჭკორი, სამუშია, აბურჯანია, პუფნაგელი (ნ.ჭანტურია 83), უბილავა, მარკოზაშვილი, არაბული (ლობჟანიძე 70), კაჭარავა

**აზერბაიჯანი:** ა.ალიევი, სალალი, იუსიპოვი, ჰასანი (ჯამალადინოვი 46), მირზაევი, ო.ალიევი, ძანგიშიევი (ისაევი 46), ბაირამოვი, ე.აბდულაევი (ნასირლი 66), ბუდაგოვი

**გაძევება:** სანდოხაძე (73)

პირველ ტურში, ხორვატებთან განცდილი მარცხის შემდეგ, სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქართველებს დღევანდელ მატჩში წარმატება ჰაერივით სჭირდებოდათ. თუმცა, სამწუხაროდ, კაჭარავას გუნდმა ეს ვერც აზერბაიჯანელებთან მოახერხა.

არადა, მატჩი აქტიურად დავიწყეთ. კაჭარავამ აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა, რაც საქართველოს ნაკრებს კარგადაც გამოუვიდა და უკვე მე-10 წუთზე, უბილავას პასით გურამ სამუშიამ ალიევის კარი აიღო. გაშვებული გოლის შემდეგ, აზერბაიჯანელები გაქტიურდნენ, თუმცა, საიმედოდ თამაშობდა მეკარე თებიძე.

მეორე ტაიმიც ქართველთა აქტიურობით დაიწყო. საგოლე მომენტებს ზედიზედ ქმნიდნენ არაბული, კაჭარავა, სამუშია, მარკოზაშვილი... მიუხედავად ამისა, გოლი ჩვენს კარში მივიღეთ. 70-ე წუთზე, თებიძეს მირზაევმა გაუტანა. სულ რაღაც სამ წუთში კი, კვიპროსელმა მსაჯმა უხეშობისთვის მოედნიდან გუნდის კაპიტანი – ნიკა სანდოხაძე გააძევა. პირველი მატჩის მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა ეს თამაშიც კაცნაკლულმა ჩაამთავრა. სამწუხაროა, რომ ეს წითელი ბარათების „სენი" კვლავ დაბრუნდა ჩვენს ასაკობრივ ნაკრებში, რაც სასწრაფოდ ყურადღებამისაქცევია.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში, ხორვატებმა და ისლანდიელებმაც ფრედ – 2:2 ითამაშეს. ისლანდიის ნაკრებს, რომელიც საკმაოდ კერკეტი კაკალი გამოდგა და ამ შესარჩევ ტურნირზე მშვენიერ შედეგს აჩვენებს, კაჭარავას გუნდი ჯგუფის ბოლო მატჩში, 31 ოქტომბერს დაუპირისპირდება. ჯგუფიდან გასასვლელად გამარჯვება აუცილებლად გვჭირდება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## იტალიელი მაესტრო ოპერის ორკესტრს უდირიჟორებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

შემდეგ იტალიაშიც დაიდგა. იმავდროულად საწყისი სიტუაცია – ცხოვრების, ყოფის შეჭრა სპექტაკლში, აგებულია XIX საუკუნის დასასრულის ლიტერატურაში გამოყენებული სქემის, ფაბულის მიხედვით. კომპოზიტორი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ოპერის ქარგა ეფუძნება ნამდვილ ისტორიას, რომელიც მან ბავშვობაში ნახა. მისი თქმით, მსახურმა წაიყვანა იგი წარმოდგენაზე კალაბრიაში, მონტალტო უფუგოში, კომედიანტთა მოხეტიალე ჯგუფის სპექტაკლის სანახავად, რომელზეც ოპერაში განვითარებული მოვლენები სინამდვილეში მოხდა, ანუ მოხეტიალე დასის ეჭვიანმა მსახიობმა წარმოდგენის მსვლელობისას სცენაზე მოკლა მოღალატე ცოლი და მისი საყვარელი. იგი ასევე აცხადებდა, რომ მამამისი, რომელიც მოსამართლე იყო, აწარმოებდა კრიმინალურ გამოძიებას და გააჩნდა ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც არავის აღმოუჩენია. როგორც ჩანს, ლეონკავალო ცდილობდა, ამ ისტორიით კიდევ უფრო რეალისტური გაეხადა ოპერა. პრემიერის შემდეგ „ჯამბაზები" იტალიის მრავალ ოპერის თეატრში დაიდგა. საზღვარგარეთ იგი თავდაპირველად ბერლინში, შემდეგ ვენაში, პრაღაში, ბუდაპეშტში, ლონდონში, ნიუ იორკში, ბუენოს აირესში, სტოკჰოლმში, ბაზელსა და მოსკოვში იხილეს. „ჯამბაზები" პირველი ოპერაა, რომლის სრული ჩანაწერიც გაკეთდა 1907 წელს. მასკანის „სოფლის ღირსება" და ლეონკავალოს „ჯამბაზები" ხშირად ერთად იდგმება და წარმოადგენენ მასკანისა და ლეონკავალოს საოპერო შედევრებს, რომლებმაც დროს გაუძლეს და სარეპერტუარო სპექტაკლებად დამკვიდრდნენ. ლეონკავალოს დანარჩენ თოთხმეტ ოპერას და ოპერეტას კი იგივე ბედი ხვდა წილად, რაც მასკანის დანარჩენ თხზულებებს – თავაზიანი ინტერესი, მაგრამ არავითარი წარმატება. ორივე ოპერა წარმოადგენს იტალიური ვერიზმის კაშკაშა, დრამატული, ცოცხალი, ლირიკული სტილის კვინტესენციას და სწორედ ამ თხზულებებმა განაპირობეს მასკანის და ლეონკავალოს ღირსეული ადგილები დიად საოპერო კოჰორტაში.

## ეროვნული არქივის მასალებს 600-მდე მკვლევარი გაეცნო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი საზოგადოებას მორიგ კვლევას აცნობს და აცხადებს, რომ მის ცენტრალურ არქივებში 2012 წლის 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა თემაზე მუშაობდა 578 მკვლევარი, მათ შორის 60 უცხოელი იყო.

ეროვნულ არქივში საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივებში დაცული 5 მილიონზე მეტი დოკუმენტი ასახავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად კავკასიის ისტორიას.

– ჩვენს არქივებში უცხოელები იკვლევდნენ შემდეგ თემებს – ბერძნები საქართველოში, რუსეთის იმპერიის რეპრესირებული პოლიტიკის გატარება დაღესტანში, კავკასია XIX-XX საუკუნეებში, კავკასიის არქეოგრაფიული მასალები, შუა აზიის ირიგაციის ისტორია, მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა სამხრეთ აზერბაიჯანში, სახელოვნებო დაწესებულებები 1920-30-იანი წლების კავკასიაში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მკვლევარებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისი თქმით, მკვლევართა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, თურქეთის, ისრაელის, შვედეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, ლიტვის, რუსეთის მოქალაქეები კემბრიჯის, იაგელონის (პოლონეთი), პრინსტონის, ცუკუბის (იაპონია), ტუნჩელის (თურქეთი) და სხვა უნივერსიტეტებიდან.

– მთლიანობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი 2012 წლის 9 თვის განმავლობაში 35 ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა, რაც წინა წლების მომაცემებს 30%-ით აღემატება. საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი არქივებიდან 35.220 თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობა გაიცა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხებით. ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვენ შემდეგ დოკუმენტებს – დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა, რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა, სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა, ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა. ეროვნული არქივის საცნობარო მომსახურების მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში და ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ არქივებში, – განმარტავს თეა ქიმერიძე.


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

• ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

• იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ, სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

• წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

• ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

• იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

• მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

• იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

• ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

• ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არმიამ რეგულარული სეზონი მოგებით დაიწყო

**არმია – ქუთაისი 78:58**
(11:18, 23:8, 19:13, 25:19)

ტურის ცენტრალურ მატჩში თავდაცვის სამინისტროს გუნდმა პირველი მეოთხედი 11:18 დათმო, თუმცა ახალი არ არის, რომ „ევროჩელენჯზე“ მოასპარეზე კლუბი მობილიზებას მალევე ახერხებს და ასეც მოხდა. არმიელები მეორე პერიოდში 15 ქულით წინ წავიდნენ და დიდ შესვენებაზე 8-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

შეხვედრის მეორე ნახევარი ლიდერის უპირატესობით დაიწყო, მესამე პერიოდში ანაგარიში 19:13. მოქმედმა ჩემპიონმა თამაში სტაბილურად მიიყვანა ბოლომდე და საბოლოო ჯამში 20 ქულით, 78:58 მოიგო.

რაც შეეხება კალათბურთელთა მონაგარს. მოგებულთაგან ორმაგი დუბლის ავტორი ლამაინ ვილსონი გახდა 11 ქულითა და 10 მოხსნით. მეორე ლეგიონერი მარკუს ფეისონი კი 14 ქულით გამოირჩა. ქუთათურებს 13 ქულით ბუბა კვიმსაძემ ულიდერა.

**მატჩის შემდეგ**

**კოტე ტუღუში:**

– წინ საინტერესო და დაძაბული სეზონი გველოდება. ამის წინაპირობა ნამდვილად არსებობს, რადგან წლევანდელ ჩემპიონატში ბევრი დაბალანსებული გუნდი მონაწილეობს. რაც შეეხება შეხვედრას, ვფიქრობ, ურიგო მატჩი არ ყოფილა. „ქუთაისმა“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, რის გამოც მეორე პერიოდში თამაშის შეცვლა მოგვიწია და ვიასპარეზეთ მთლიანად კანახაზელებით, რამაც გაამართლა და მეტოქემ სისწრაფით ველარ დაგვჯაბნა. მოხარული ვარ, რომ სეზონში პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ და ერთ-ერთი ლიდერი - „ქუთაისი“ დავამარცხეთ.

**დავით უსტიაშვილი:**

– ვულოცავ „არმიას“ ამ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ „ევროჩელენჯზე“. ვფიქრობ, ეს გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეს და ქართველი გულშემატკივრები გაახაროს. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ჩვენმა გუნდმა პირველი ტაიმი კარგად დაიწყო, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ვეცდებით გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები. სეზონის დასაწყისია და, ბუნებრივია, უამრავი ხარვეზი გვაქვს. სამწუხაროდ, ქუთაისი ამხანაგურ შეხვედრებს ვერ მართავს, შესაბამისად თამაშიდან თამაშამდე დავიხვეწებით და სათანადო ფორმაში ჩავდგებით. ვფიქრობ, მეორე წრეში არმიის გუნდს ქუთაისში ბევრად უფრო გაუჭირდება თამაში, ვიდრე დღეს.

**ვლადიმერ ბოისა:**

– დუდუ დადიანის მემორიალის შემდეგ მეორედ ვეთამაშეთ „ქუთაისს“ და ვფიქრობ, დღეს ბევრად უკეთესად ვიასპარეზეთ. დღევანდელი მატჩისთვის მწვრთნელმა სათანადოდ მოგვამზადა. მიმაჩნია, რომ თუნდაც ჩვენი გამოცდილების ხარჯზე, ქუთაისშიც



იგივე შედეგს დავაფიქსირებთ.

**ბუბა კვიმსაძე:**

– ყველასთვის სასიხარულოა, რომ დაძაბული ჩემპიონატის მოლოდინში ვართ. გუნდები გაძლიერებულნი არიან და საინტერესო ბრძოლა იქნება. ვულოცავ არმიას ამ გამარჯვებას და კიდევ უფრო დიდ წარმატებას ვუსურვებ. მეტოქემ დამსახურებულად იმარჯვა. ვეცდებით, ქუთაისში ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ.

**შსს – სოხუმი 100:90**
(22:26, 27:15, 27:22, 24:27)

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ეს მატჩი. პირველ პერიოდში სოხუმელებმა იყოჩაღეს და 4 ქულა დაიბევეს აქტივში, თუმცა მეორე მეოთხედში ძალოვნებმა მოახერხეს თამაშის თავიანთ სასიკეთოდ შემობრუნება და პირველი ტაიმი 8 ქულით მოიგეს. დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა თამაშის მეორე ნახევარი – მესამე პერიოდი შსს აკადემიის ლიდერობით დასრულდა, ბოლო მეოთხედში ზღვისპირელებმა იმძლავრეს, თუმცა ქულებით ველარ დაეწივნენ მეტოქეს და საბოლოოდ 90:100 დამარცხდნენ.

შსს აკადემიის მოგებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლეგიონერებმა. აღსანიშნავია დეონტა ვონის შედეგი, რომელსაც სამმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა – 16 ქულა, 11 მოხსნა, 9 შედეგიანი გადაცემა. ორმაგი დუბლი მიითვალეს კირკ არჩიბექმა (30 ქულა და 13 მოხსნა) და ჩად პრევითმა (26 ქულა, 11 მოხსნა).

რაც შეეხება სოხუმის გუნდს, მის შემადგენლობაში 29 ქულით ირაკლი ჩლაიძე გამოირჩა.

**მატჩის შემდეგ**

**გეორგის კეცელიდისი:**

– გამომდინარე „სოხუმის“ დღევანდელი ასპარეზობისა, ამ მატჩში მეტოქეს უნდა გაემარჯვა. მადლობა ღმერთს, რომ ასე გაგვიმართლა და საბოლოოდ გამარჯვება ჩვენს გუნდს დარჩა. სოხუმი დამარცხდა, მაგრამ მან ძალიან ლამაზი კალათბურთი აჩვენა. მადლობა ყველა მოთამაშეს და მის მწვრთნელს. „სოხუმი“ახალგაზრდა გუნდია და მისგან ასეთ დიდ წინააღმდეგობას ნამდვილად არ მოველოდი. რაც შეეხება სუპერლიგის ოფიციალური ვებ-გვერდის ტექსტურ რეპორტაჟს, მოხარული ვარ და მივესალმები ყველა საკალათბურთო სიახლეს. აგრეთვე მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა სუპერლიგის ახალ სეზონთან დაკავშირებით, რომელიც ვფიქრობ, წელს შარშანდელთან შედარებით გაცილებით მაღალი დონის იქნება. წლევანდელ სეზონში ბევრი დაბალანსებული გუნდი მონაწილეობს და კიდევ უფრო განსხვავებულ ჩემპიონატს ვიხილავთ. მინდა აღვნიშნო ლეგიონერების შესახებაც. მიმაჩნია, რომ სუპერლიგაში მათი ასპარეზობა ქართველი კალათბურთელების კლასის ამაღლებას ხელს დიდად შეუწყობს.

**ვაჟა კვარაცხელია:**

– ვულოცავ გეორგის კეცელიდისს ამ გამარჯვებას, რომელიც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. შსს აკადემიას უნდა მოეგო ეს თამაში და ასეც მოხდა. „სოხუმის“ კალათბურთელებს აკლიათ სათანადო გამოცდილება და მაღალი კლასი, ამიტომ განსაკუთრებული მადლობა ბიჭებს ასეთი თავგანწირული ბრძოლისთვის. რაც შეეხება სუპერლიგის ვებ-გვერდის სიახლეს, აღფრთოვანებული ვარ ტექსტური რეპორტაჟით და მოხარული ვარ, რომ კალათბურთის დონე საქართველოში ყველა მხრივ იზრდება.

**ჩად პრევითი:**

– ძალიან ვისიამოვნე დღევანდელი მატჩით. „სოხუმი“ კარგი გუნდია და მისი წინააღმდეგობით სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ. მატჩის პერიოდში გარკვეული ჩავარდნა გვქონდა, მაგრამ ეს კალათბურთში ბუნებრივი მომენტია. საბედნიეროდ ბოლო მეოთხედში ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ გადაწყდა და ის შედეგი დავაფიქსირეთ, რომელიც გვსურდა.

**ირაკლი ჩლაიძე:**

– ვულოცავ შსს აკადემიას ამ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ მომდევნო მატჩებში. დღევანდელი მატჩის წაგებას არაერთი მიზეზი ჰქონდა. ბევრი შეცდომა დავუშვით დაცვაში, წავაგეთ ფარიც. ბიჭებმა ბევრი ვიომეთ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, გამარჯვება მეტოქეს დარჩა. მომავალ მატჩებში კიდევ უფრო მეტს ვიშრომებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ძლიერი გუნდის დამარცხება შევძლოთ.

**ბათუმი – დინამო 53:69**
(14:17, 8:18, 16:15, 15:19)

დინამოელებმა ლიდერობა თამაშის დასაწყისშივე მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე 13 ქულაც დაიბევეს აქტივში – 35:22. მესამე პერიოდი ბათუმმა მოიგო, თუმცა არა იმ ანგარიშით, რაც საერთო შედეგის გაბათილებას გამოიწვევდა (16:15). მეოთხე მეოთხედში კი 19:14 დაჯაბნეს სტუმრებმა ბათუმელები და საბოლოო გამარჯვებაც იზეიმეს.

მოგებულთაგან დიდი სამუშაო ლეგიონერებმა გასწიეს – ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა ლამარ კარიმს (26 ქულა 9 მოხსნა), ხოლო 10-10 ქულითა და მოხსნით ორმაგი დუბლი მეორე ლეგიონერმა, მილან ოულიჩმა შეასრულა.

„ბათუმის“ რიგებში ყველაზე მეტი, 16 ქულა გიორგი ნანიტაშვილმა მოაგროვა.

**მატჩის შემდეგ**

**ირაკლი ხოშტარია:**

– დღევანდელი მატჩი ძალიან ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა ჩვენთვის. მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის სათამაშო დრო მიგვეცა. ვამუშავებდით სხვადასხვა სათამაშო სქემას და ახალგაზრდა კალათბურთელებს შეძლებისდაგვარად ვტვირთავდით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. რაც შეეხება ლეგიონერებს, კარგად გაისარჯა ლამარ კარიმი, რომელიც ჩვენს მოლოდინს ამართლებს. კმაყოფილი ვარ მილან იულიჩის თამაშითაც. მესამე ლეგიონერი ფლინ კლიმანი ჯერჯერობით სათანადო ფორმაში არ არის, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მალე აღიდგენს და თამაშს აუცილებლად მოუმატებს.

**მიხეილ კობეშავიძე:**

– მიმაჩნია, რომ თამაშმა საინტერესოდ ჩაიარა. ,,დინამო“ ძლიერი გუნდია და მაღალი კლასის მოთამაშეებით გამოირჩევა. თუმცა, მიუხედავად შემადგენლობისა, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და თავს არ დავზოგავთ. ვულოცავ დინამოს გუნდს გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ.

**თსუ – სტუ 65:59**
(14:18, 20:13, 13:10, 18:18)

როგორც მოსალოდნელი იყო, თსუ-სა და სტუ-ს დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მატჩის პირველი პერიოდი 18:14 ტექნიკოსებმა იმარჯვეს. თამაშის პირველი ნახევარი კი უკვე თსუ-მ 34:31 მოიგო. შეხვედრის მესამე პერიოდი 13:10 ისევ თსუ-ს სასარგებლოდ დაფიქსირდა. ბოლო მეოთხედში 18:18, მაგრამ საბოლოო ანგარიში თსუ-ს სასარგებლოდ დაფიქსირდა – 65:59.

რაც შეეხება კალათბურთელთა მონაგარს, თსუ-ს 20 ქულითა და 8 მოხსნით გივი ბაქრაძემ ულიდერა, 16 ქულა კი ვახტანგ ჩქარეულმა მოაგროვა. ტექნიკური უნივერსიტეტის რიგებში 16 ქულით გიორგი პირველაშვილი გამოირჩა, ხოლო 14 ქულა ტატო ჩაჩიბაიამ მიითვალა.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ჩხეიძე:**

– დიდი მადლობა ჩვენს ბიჭებს ასეთი კარგი თამაშისთვის და მადლობა სტუ-ს გუნდს ასეთი დაძაბული და საინტერესო მატჩისთვის. წინა თამაშისგან განსხვავებით, დღეს ჩვენმა გუნდმა ბევრად უკეთ იასპარეზა. ვფიქრობ, დაცვაში გამოვასწორეთ თამაში და ამის ხარჯზე ვაჯობეთ მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ დღეს იასპარეზა ახალმა ლეგიონერმა სერჟი ასელაინმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წილი დაიდო ჩვენს გამარჯვებაში. წელის ტრავმის გამო ვერ ითამაშა ვასილ ბერუაშვილმა, რომლის ასპარეზობა მომავალ მატჩებში გუნდის ექიმის გადასაწყვეტია.

**გია ტეტელაშვილი:**

– უკმაყოფილო ვარ ჩვენი დღევანდელი ასპარეზობით. დაცვაში თამაში გამოვასწორეთ, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით შეტევაში. დღევანდელ წაგებაში გარკვეული გავლენა იქონია ახალ დარბაზში გადასვლამაც. იმედია მომავალ მატჩებში ბიჭები უფრო შემართებით ითამაშებენ და სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**გივი ბაქრაძე:**

– სასიხარულოა ასეთ დაძაბულ მატჩში გამარჯვება, მით უფრო, სტუდენტურ დერბში. დუდუ დადიანის მემორიალში ძლიერი გუნდები შეგვხვდნენ, სადაც ჩვენმა გუნდმა თავი სათანადოდ ვერ წარმოაჩინა. ვფიქრობ, მომავალ მატჩებში დავხვეწავთ ჩვენს თამაშს და ხარვეზებსაც გამოვასწორებთ.

**გიორგი პირველაშვილი:**

– ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილია. სულ ახლახან შემოგვიერთდა სო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ლივერპული ... 2:2
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი ... 2:1
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი ... 1:2
ჩელსი-მანჩესტერი ... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 21:9 | 22 |
| 2.მანჩესტერი | 9 | 7 | 0 | 2 | 24:13 | 21 |
| 3.სიტი | 9 | 6 | 3 | 0 | 18:9 | 21 |
| 4.ტოტენჰემი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:13 | 17 |
| 5.ევერტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:11 | 16 |
| 6.არსენალი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:6 | 15 |
| 7.ფულემი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:14 | 14 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | 14 |
| 9.ვესტ ჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | 14 |
| 10.ნიუკასლი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:13 | 13 |
| 11.სუონსი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:13 | 11 |
| 12.ლივერპული | 9 | 2 | 4 | 3 | 12:14 | 10 |
| 13.სტოკი | 9 | 1 | 6 | 2 | 8:9 | 9 |
| 14.სანდერლენდი | 8 | 1 | 6 | 1 | 6:8 | 9 |
| 15.უიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| 16.ნორვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:18 | 7 |
| 17.ასტონ ვილა | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | 6 |
| 18.საუთჰემპტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 14:26 | 4 |
| 19.რედინგი | 8 | 0 | 4 | 4 | 11:17 | 4 |
| 20.ქპრ | 9 | 0 | 3 | 6 | 7:18 | 3 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სარაგოსა-სევილია ... 2:1
ლევანტე-გრანადა ... 3:1
ბილბაო-ხეტაფე ... 1:2
ატლეტიკო-ოსასუნა ... 3:1
მალიორკა-რეალი ... 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 29:11 | 25 |
| 2.ატლეტიკო | 9 | 8 | 1 | 0 | 22:9 | 25 |
| 3.მალაგა | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | 18 |
| 4.რეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 21:7 | 17 |
| 5.ბეტისი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| 6.ლევანტე | 9 | 5 | 1 | 3 | 12:14 | 16 |
| 7.სევილია | 9 | 4 | 2 | 3 | 12:11 | 14 |
| 8.ხეტაფე | 9 | 4 | 1 | 4 | 10:12 | 13 |
| 9.სარაგოსა | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | 12 |
| 10.მალიორკა | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| 11.ვალენსია | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| 12.ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:9 | 10 |
| 13.სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:11 | 10 |
| 14.რაიო | 9 | 3 | 1 | 5 | 11:22 | 10 |
| 15.სოსიედადი | 8 | 3 | 0 | 5 | 8:12 | 9 |
| 16.ბილბაო | 9 | 2 | 2 | 5 | 12:19 | 8 |
| 17.გრანადა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:15 | 8 |
| 18.დეპორტივო | 9 | 1 | 4 | 4 | 14:20 | 7 |
| 19.ესპანიოლი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:15 | 6 |
| 20.ოსასუნა | 9 | 1 | 2 | 6 | 8:14 | 5 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რეალი ბ-ხიხონი ... 2:4
ალკორკონი-მურსია ... 1:0
ხირონა-ნუმანსია ... 3:1
პონფერადინა-ერკულესი ... 1:0
ხერესი-ლუგო ... 1:0
ელჩე-რასინგი ... 1:0

**იტალია. სერია ა**

კატანია-იუვენტუსი ... 0:1
ბოლონია-ინტერი ... 1:3
პესკარა-ატალანტა ... 0:0
სამპდორია-კალიარი ... 0:1
ტორინო-პარმა ... 1:3
ფიორენტინა-ლაციო ... 2:0
ნაპოლი-კიევო ... 1:0
რომა-უდინეზე ... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 9 | 8 | 1 | 0 | 20:4 | 25 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:5 | 22 |
| 3.ინტერი | 9 | 7 | 0 | 2 | 16:7 | 21 |
| 4.ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 15:10 | 18 |
| 5.ფიორენტინა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| 6.რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 20:16 | 14 |
| 7.პარმა | 9 | 9 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| 8.უდინეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 |
| 9.კატანია | 9 | 3 | 2 | 4 | 9:14 | 11 |
| 10.კალიარი | 9 | 3 | 2 | 4 | 6:11 | 11 |
| 11.სამპდორია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 10 |
| 12.მილანი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:10 | 10 |
| 13.ტორინო | 9 | 2 | 4 | 3 | 10:8 | 9 |
| 14.ჯენოა | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| 15.ატალანტა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:12 | 9 |
| 16.პესკარა | 9 | 2 | 2 | 5 | 6:15 | 8 |
| 17.ბოლონია | 9 | 2 | 1 | 5 | 10:14 | 7 |
| 18.პალერმო | 9 | 1 | 4 | 4 | 6:11 | 7 |
| 19.კიევო | 9 | 2 | 1 | 6 | 7:16 | 7 |
| 20.სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:10 | 3 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკეგბული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

## შედეგები

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-აინტრახტი ... 2:1
ბაიერნი-ლევერკუზენი ... 1:2
ჰანოვერი-გლადბახი ... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 9 | 8 | 0 | 1 | 27:4 | 24 |
| 2.შალკე | 9 | 6 | 2 | 1 | 18:8 | 20 |
| 3.აინტრახტი | 9 | 6 | 1 | 2 | 20:13 | 19 |
| 4.დორტმუნდი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:11 | 15 |
| 5.მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| 6.ჰამბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 13 |
| 7.ლევერკუზენი | 9 | 4 | 3 | 2 | 15:12 | 12 |
| 8.შტუტგარტი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:15 | 12 |
| 9.გლადბახი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:18 | 12 |
| 10.ჰანოვერი | 9 | 3 | 2 | 4 | 18:16 | 11 |
| 11.ფრაიბურგი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:12 | 11 |
| 12.ვერდერი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:14 | 11 |
| 13.ფორტუნა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:12 | 10 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:20 | 8 |
| 15.ნიურნბერგი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | 8 |
| 16.ვოლფსბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:16 | 8 |
| 17.აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:13 | 6 |
| 18.ფიურტი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:15 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-დინამო ... 3:2
უნიონი-პადერბორნი ... 0:1
ფრანკფურტი-რეგენსბურგი ... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიენი-აიაჩო ... 4:4
ბასტია-ბორდო ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 6 | 4 | 0 | 16:5 | 22 |
| 2.ტულუზა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:10 | 19 |
| 3.მარსელი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:8 | 19 |
| 4.ლიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:8 | 18 |
| 5.სენტ ეტიენი | 10 | 4 | 3 | 3 | 18:7 | 15 |
| 6.ვალანსიენი | 10 | 4 | 3 | 3 | 20:11 | 15 |
| 7.რეიმსი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| 8.ბორდო | 10 | 3 | 6 | 1 | 12:10 | 15 |
| 9.ლორიანი | 10 | 3 | 6 | 1 | 19:19 | 15 |
| 10.ლილი | 10 | 3 | 5 | 2 | 13:12 | 14 |
| 11.ბასტია | 10 | 4 | 2 | 4 | 15:21 | 14 |
| 12.რენი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:14 | 13 |
| 13.მონპელიე | 10 | 3 | 2 | 5 | 15:15 | 11 |
| 14.აიაჩო | 10 | 3 | 4 | 3 | 10:13 | 11 |
| 15.ბრესტი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:17 | 10 |
| 16.ნიცა | 10 | 1 | 6 | 3 | 13:19 | 9 |
| 17.ევიანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 8 |
| 18.სოშო | 9 | 2 | 1 | 6 | 8:14 | 7 |
| 19.ტრუა | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |
| 20.ნანსი | 10 | 1 | 2 | 7 | 3:16 | 5 |

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ფეინოორდი-აიაქსი ... 2:2
ვალვაიკი-ტვენტე ... 0:1
ზვოლე-პსვ ... 1:2
ერაკლესი-ჰერენვენი ... 6:3
ვიტესი-ალკმაარი ... 1:2

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

ვოლენდამი-დენ ბოსხი ... 1:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

რიუ ავე-ნასიონალი ... 2:1
მარიტიმუ-ბრაგა ... 0:2
ეშტორილი-პორტუ ... 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-კრ.სოვეტოვი ... 1:0
ტერეკი-ცსკა ... 1:2
რუბინი-ანჟი ... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-გრასჰოპერსი ... 2:0
სტ.გალენი-თუნი ... 1:0
ციურიხი-ბაზელი ... 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ზალცბურგი ... 2:0

**ბელგია. პროლიგა**

კორტრაიკი-გენკი ... 1:1
ბრიუგე-ლოკერენი ... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ქსანთი ... 0:0
იანინა-ატრომიტოსი ... 0:0
აეკი-პლატანიასი ... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-გენჩლერი ... 0:0
გაზიანთეპი-ორდუ ... 3:0
ტრაბზონი-ბურსა ... 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ტეპლიცე-სიგმა ... 1:1
სპარტა-ლიბერეცი ... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლიონსკი-ზაგლებიე ... 0:2
ლეგია-პიასტი ... 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-კარპატი ... 2:0
ილიჩევეცი-დინამო ... 0:0
მეტალისტი-ზარია ... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-სონდერიისკე ... 1:2
ოდენსე-ორხუსი ... 2:4
*ორხუსელთაგან ერთი ბურთი მათე ვაწაძემ გაიტანა*
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-სირიანსკა ... 1:1
გაისი-ჰელსინბორგი ... 1:3
სუნდსვალდი-ნორჩიოპინგი ... 0:4
იორებრო-გეიოტებორგი ... 1:0
ატვიდაბერგი-მიალბი ... 0:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-ტრომსო ... 1:0
სონგდალი-ალესუნდი ... 1:1
სტაბეკი-ვიკინგი ... 0:1
ოდ გრელანდი-ჰონეფოსი ... 4:0
მიოლდე-რუსენბორგი ... 2:0

**აშშ. მლს**

კოლამბუსი-ტორონტო ... 2:1
დალასი-ჩივასი ... 2:2
ლოს ანჯელესი-სიეტლი ... 1:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რივერ პლეიტი-ბოკა ... 2:2
ბელგრანო-უნიონი ... 1:0
ლანუსი-არხენტინოსი ... 1:0

## ჩოგბურთი

**ატპ. ბაზელი. ჰარდი. ფინალი**

ფედერერი-დელ პოტრო .. 4:6;7:6;6:7

**ატპ. ვალენსია. ჰარდი. ფინალი**

ფერერი-დოლგოპოლოვი 6:1;3:6;6:4

**ვტა. სტამბოლი. ჰარდი**

**შემაჯამებელი ტურნირი ფინალი**

უილიამსი!ს.-შარაპოვა ... 6:4;6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ლელო მშრალად იგებს

**აკადემია – ლოკომოტივი 19:10**

აკადემია: მაკაროვი, ჭუაძე, წასიძე, მოლოდინაშვილი, სუთიძე, მარგიანი, ლამბაშიძე; ლამბაშიძე, წვერავა, მაჩიტაძე, ნებულიშვილი (მაღლაკელიძე), ლუარსაბიშვილი, თოდაძე, გოგოლაძე, ჩხიკვაძე

**2 ლელო:** სუთიძე, მარგიანი

**3 ჯარიმა:** წვერავა

ლოკომოტივი: წიკლაური, ქავთარაძე, ჭურღულია, ხუციშვილი (კობერიძე), ბიწაძე, კავთიძე, ღვინჯილია; გასვიანი, გენებაშვილი (ბეკოშვილი), ზარიძე (მარსაგიშვილი, ღუდუშაური), ცუხიშვილი (თავბერიძე), გუნიავა, ხოლუაშვილი, ახვლედიანი, მაისურაძე.

**1 ლელო:** გასვიანი

**1 გარდასახვა:** კავთიძე

**1 ჯარიმა:** კავთიძე

პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ერთადერთი ჯარიმა გავიდა, რომელიც აკადემიელმა გიორგი წვერავამ გაიტანა.

მეორე ტაიმის დებიუტში „ლოკომოტივმა" ლელო გაიტანა – თავი დავით გასვიანმა გამოიჩინა და გაჩნდა ეჭვი, რომ ფავორიტები მეტოქეს იოლად დაამარცხებდნენ, თუმცა ასე არ მოხდა. ლელოზე „აკადემიამ" ლელოთივე მალევე უპასუხა, ეს გურამ სუთიძემ შეუტია მარცხენა ფლანგზე მოლის შემდეგ და თავისიანები ერთი ქულით წინ გაიყვანა.

„ლოკომოტივმა" სიფრთხილე გამოიჩინა და ახლოდან ჯარიმა კარში დაარტყა, რითიც ბოლოჯერ დაწინაურდა. ამის შემდეგ წვერავამ ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა, შემდეგ კი მარგიანმა ლელოც დადო.

დარჩენილ დროში „აკადემია" ხშირად ჯარიმდებოდა, მაგრამ „რკინიგზელები" ჯიუტად ცდილობდნენ ლელოს გატანას, რაც არ გამოუვიდათ და „აკადემიამ" სენსაციური გამარჯვებით მნიშვნელოვანი 4 ქულა ჩაიწერა, ხოლო „ლოკომოტივმა" ერთი პრემიალური ქულაც ვერ მიითვალა.

**ლელო – ხარები 27:0**

ლელო ამ მატჩში უპირობო ფავორიტად იყო მიჩნეული და ეს დაამტკიცა კიდეც. თბილისელებმა 27 ქულა მიითვალეს, ხოლო მეტოქე შინ უქულოდ გააბრუნეს.

**ილიაუნი ჯიქი – არმაზი 19:20**

დრამატული და საინტერესო საყურებელი გამოდგა მეორე შეხვედრა. „ჯიქები" და „არმაზი" სატურნირო ცხრილში ერთმანეთის მეზობლად არიან და ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, ვინ დაასრულებდა პირველ წრეს მეოთხე პოზიციაზე.

მართალია, „არმაზმა" პირველი ტაიმი 17:6 მოიგო, მაგრამ მეორეში სიტუაცია შეიცვალა და მატჩის ბოლოსკენ 19:17 უკვე „ჯიქები" დაწინაურდა, თუმცა კიკნაძემ ბოლო წუთზე ზედ ცენტრის ხაზიდან ზუსტად დაჰკრა საჯარიმო და თავისიანებს მოაგებია.

**არმია – ბათუმი 31:16**

აქაც ფავორიტმა იმარჯვა, თუმცა ზღვისპირული გუნდიდან 16 ქულის მიღება პასივში უნდა ჩაითვალოს.

**ყოჩები – აია 6:23**

ბოლო დროს საკმაოდ მძლავრად ათამაშებული ქუთაისის „აია" თბილისის „ყოჩებს" ესტუმრა და დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა.

ქუთაისელებმა ბოლო ორ ტურში გატანილი ქულებით მიმდინარე სეზონის რეკორდები ერთიმეორეს მიყოლებით დაამყარეს. მათ ჯერ რუსთავში „ხარებს" 50 ქულა გაუტანეს, ხოლო შემდეგ „აკადემიასთან" – 76. არადა, შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა სეზონი არცთუ კარგად დაიწყო, სამმატჩიანი მოუგებელი სერია ზედიზედ სამი შთამბეჭდავი გამარჯვებით ჩაანაცვლა და სატურნირო ცხრილშიც მე-3 საფეხურამდე აღზევდა.

ამ ადგილის შენარჩუნება კი რიონისპირელებს არ გასჭირვებიათ – სტუმრებმა 23:6 იმარჯვეს და მეტოქეზე 3-ით მეტი ლელოს გატანისთვის პრემიერლური ქულაც აიღეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „ყოჩებისთვის" პირველი მატჩი იყო, რომელშიც ლელო არ გაუტანიათ და ქულები მხოლოდ ჯარიმებით აგროვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 9 | 8 | 0 | 1 | 258:112 | 38 |
| 2.არმია | 9 | 8 | 0 | 1 | 251:131 | 37 |
| 3.აია | 9 | 6 | 1 | 2 | 251:131 | 30 |
| 4.არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | 181:160 | 25 |
| 5.ჯიქები | 9 | 4 | 0 | 5 | 163:151 | 21 |
| 6.ლოკომოტივი | 9 | 3 | 1 | 5 | 177:169 | 18 |
| 7.ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | 130:177 | 14 |
| 8.ხარები | 8 | 2 | 0 | 6 | 92:196 | 9 |
| 9.აკადემია | 9 | 2 | 0 | 7 | 74:259 | 9 |
| 10.ყოჩები | 9 | 1 | 0 | 8 | 142:234 | 7 |

# არმიამ რეგულარული სეზონი მოგებით დაიწყო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სო შერმადინი და ბიჭები ჯერ კიდევ შეუთამაშებლები ვართ. ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინ არის და ჩვენი გუნდი შეძლებს თავის ღირსეულად წარმოჩენას.

**რუსთავი – სამედიცინო 73:59**

(14:21, 14:6, 26:11, 25:19)

მიუხედავად საბოლოო შედეგისა, პირველი პერიოდი მედიკოსებმა 21:14 მოიგეს, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და პირველი ტაიმი ერთი ქულით დათმეს. შეხვედრის მეორე ნახევარს რუსთაველები უფრო მობილიზებულები შეხვდნენ. ჯერ 26:11, შემდეგ კი 25:19, დაამარცხეს მეტოქე და ახალ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმეს.

ქვემოქართლურ გუნდში ლეგიონერი ნეით ბოუი კვლავ გამორჩეული გახლდათ – 20 ქულა. მედიკოსთა რიგებში კი ყველაზე მეტი გიორგი რევაზაშვილის ანგარიშზეა – 11 ქულა.

**მატჩის შემდეგ**

**მიხეილ ბერუაშვილი:**

– პირველ ტაიმში სათანადო მობილიზება ვერ მოვახერხეთ, თუმცა მეორე ნახევრიდან თამაში ჩვენი სოლიდური უპირატესობით წარიმართა და დამსახურებულად ვიმარჯვეთ, ამით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კარგად ითამაშეს და დავალებებს თავი კარგად გაართვეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის მაქსიმუმი და გუნდისგან ბევრად უფრო დიდ შედეგს ველოდები. ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს ზურაბ მაჭავარიანმა და გაგა არაბულმა. ისინი გუნდს მომავალი კვირიდან შემოუერთდებიან.

**კახა შენგელია:**

– მიუხედავად მარცხისა, მიმაჩნია, რომ დღეს გუნდმა უკეთესად იასპარეზა ვიდრე პირველ ტურში ქუთაისთან. შეხვედრის სამ მეოთხედში ვიბრძოდით, თუმცა საბოლოოდ სათანადო ძალები არ აღმოგვაჩნდა. რუსთავს წელს შესანიშნავი გუნდი ჰყავს და სასიხარულოა, რომ გუნდი გარკვეული ჩავარდნილი პერიოდის შემდეგ სუპერლიგას გაძლიერებული შემადგენლობით დაუბრუნდა. ვულოცავ დღევანდელ გამარჯვებას რუსთაველებს და წარმატებას ვუსურვებ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, სამუშაო, რა თქმა უნდა, ბევრი გვაქვს, თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა და ვიმედოვნებ, რომ თსუ მატჩიდან მატჩამდე უკეთ შეთამაშდება და უნივერსიტეტის გუნდებს შორის პირველ ადგილს დაიკავებს. ვფიქრობ, ეს მიზანი სავსებით მიღწევადია და და სასურველ შედეგს ვაჩვენებთ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სინეტეკის თეატრი თბილისში ჩამოდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დასის წევრი და ბატონ კახი კავსაძის ვაჟი, რომელიც მთავარი როლების გარდა სპექტაკლების ხმის რეჟისურაზეც მუშაობს. ჰელენ ჰეისის წელს მოპოვებული 4 პრიზიდან ერთ-ერთი ირაკლი კავსაძემ კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან ერთად სწორედ „მეფე ლირის" ხმის რეჟისურაში მიიღო. სპექტაკლში კი თვით ლირს განასახიერებს. ირინა ციქურიშვილმა კი მაყურებელთა ფავორიტს – ბროდვეის სახელგანთქმულ შოუს „ჰეარსფრეის" მოუგო და ბენ ქუნისთან ერთად საუკეთესო ქორეოგრაფის ჯილდო მიიღო, სილაში ცეკვისათვის ისევ „მეფე ლირში". სპექტაკლში ასევე მონაწილეობს ირაკლი კავსაძის 19 წლის ქალიშვილი ირინაც, რომელიც უკვე რამდენიმე წელია სინეტიკის დასში ირიცხება. სინეტიკის თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს" უჭირავს. ქართული თეატრის მოყვარულებისთვის ცნობილია, რომ ამ სპექტაკლში მუსას როლს კახი კავსაძე ასრულებს, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

რუსთაველის თეატრის განვითარების ფონდის ინიციატივით ამერიკის საელჩოსთან გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სინეტიკის თეატრის მოწვევას საქართველოსა და ამერიკის მეგობრობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებში. ამ პროექტის ეგიდით, 3 და 4 ნოემბერს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი", ხოლო 8 და 9 ნოემბერს კი უილიამ შექსპირის „მეფე ლირი". როგორც სინეტეკის თეატრის ხელმძღვანელები აცხადებენ, მათი არც ერთი სპექტაკლი ერთმანეთს არ ჰგავს, რადგან დასიც და მისი ხელმძღვანელობაც მუდმივად სიახლის ძიებაშია.

– ეს პროექტი ხორციელდება რუსთაველის თეატრის განვითარების ფონდის ინიციატივით ამერიკის საელჩოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კომპანია „რობერტო ბრავოსა" და „ვი თი ბი ბანკის" ფინანსური მხარდაჭერით, – აცხადებენ რუსთაველის თეატრში.

სინეტეკის თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელისთვის ირინა ციქურიშვილისთვის ეს გასტროლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის უკვე 16 წელია საქართველოში არ ყოფილა. საქართველოდან წლების წინ წასული მსახიობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორ მიიღებს მათ ქართველი მაყურებელი.

ირინა ციქურიშვილი საქართველოდან გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს წავიდა, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში არეულობა დაიწყო. თავდაპირველად ის ბალეტს ასწავლიდა, მოგვიანებით კი, როცა წლების შემდეგ საქართველო დატოვა პაატა ციქურიშვილმაც და ამერიკაში ჩავიდა, მათ თანამოაზრეები შემოიკრიბეს და თეატრი ჩამოაყალიბეს, თუმცა მანამდე იყო ბევრი სირთულე – ქუჩაში თამაში, ქალაქის ფესტივალები. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე მსახიობი საქართველოდან წასვლამდე პანტომიმის თეატრის მსახიობი იყო და ამირან შალიკაშვილის სპექტაკლებში მონაწილეობდა. მათ მიერ სინეტეკის თეატრში დადგმული სპექტაკლები აღმოჩნდა ყველაზე გამაღიზიანებელი პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელისთვის და საავტორო უფლებების დარღვევისთვის, ვაშინგტონში მოღვაწე ცოლ-ქმარს ამირან შალიკაშვილმა გიგა კობალაძის უწყებაში უჩივლა. ამჟამად საქმის მოკვლევა მიმდინარეობს და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია უახლოეს მომავალში გამოიტანს დასკვნას ვინ მართალია და ვინ – მტყუანი.

# ჩინეთში დემონსტრაციამ შედეგი გამოიღო?



ჩინეთის სანაპირო ქალაქ ნინბოს ხელისუფლებამ კვირა სალამოს პირობა დადო, რომ ქიმიური ქარხნის გაფართოებას შეაჩერებდა. აღნიშნული გადაწყვეტილება დემოსტრანტებისა და პოლიციის დაპირისპირების შემდეგ მიიღეს.

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ქუჩაში გამოსული ათასობით დემონსტრანტი ქარხნის გაფართოებას აპროტესტებდა, რომელიც გარემოს კიდევ უფრო დაბინძურებას შეუწყობს ხელს.

მართალია, ნინბოს ხელისუფლება დემონსტრანტთა დიდმა რაოდენობამაც შეაშფოთა, თუმცა როგორც აღნიშნავენ ხელისუფლების გადაწყვეტილება უმთავრესად იმ მომავალი შეხვედრებით არის განპირობებული, რომელზეც ჩინეთის ლიდერების ახალი თაობა უნდა დასახელდეს. 8 ნოემბერს პეკინში დაგეგმილ მმართველი კომუნისტური პარტიის კონგრესზე ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის ლიდერების პირველი ცვლილების რატიფიკაცია უნდა მოხდეს.

ნინბოს მცხოვრებლები, რომლებსაც „ნიუ-იორკ თაიმსი" ტელეფონით ესაუბრა ხელისუფლების მიერ ასე მოულოდნელად აზრის შეცვლას სკეპტიკურად უყურებენ.

„აღნიშნული გადაწყვეტილება უბრალოდ დაძაბულობის შესუსტებას ისახავს მიზნად",-აღნიშნავს იუ იამინგი, რომელიც კვირას ხელისუფლებასთან გამართულ მოლაპარაკებებში იღებდა მონაწილეობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა მაო ძე-დუნმა 1949 წელს, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1971 წლიდან გაეროს წევრია. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა, გაუმჯობესდა ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და თავისუფლებებს. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

# ისრაელის ავიაციამ ღაზას სექტორზე იერიში მიიტანა

ღაზას სექტორში ისრაელის ავიაციის მიტანილი იერიშის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთი დაიჭრა. წინასწარი ინფორმაციით დაღუპული , სავარაუდოდ, „ჰამასის" წევრი იყო.

ისრაელის ავიაცმიამ ღაზას სექტორზე იერიში მას შემდეგ მიიტანა, რაც პალესტინელმა ბოევიკებმა ისრაელის ტანკების მიმართულებით ნაღმტყორცნები ისროლეს.

შეგახსენებთ, რომ 24 ოქტომბერს ისრაელის ხელისუფლება და ღაზას სექტორში ხელისუფლებაში მყოფი მოძრაობა ჰამასის ხელმძღვანელობა, ეგვიპტის შუამავლობით გამართულ არაოფიციალურ მოლაპარაკებებში, ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ.

შეთანხმება მიღწეულ იქნა იმ ვითარებაში, როდესაც დაპირისპირება მხარეებს შორის კვლავ გამწვავდა. 22 ოქტომბრიდან ისრაელის საჰაერო ძალების მიერ მიტანილი იერიშის შედეგად ჰამასის ექვსი ბოევიკი დაიღუპა.

ისრაელის ხელისუფლების განმარტებით, ბოლო დღეების განმავლობაში ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 70 რაკეტა იქნა გაშვებული, რის შედეგადაც ხუთი ადამიანი დაიჭრა, სამი მათგანი კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფება. ღაზის სექტორი პალესტინის ტერიტორიების ერთ-ერთი შემადგენელი რეგიონია, ვიწრო სანაპირო ზოლი ხმელთაშუა ზღვის პირას ახლო აღმოსავლეთში, აზიაში. სახელი მომდინარეობს მისი მთავარი ქალაქიდან ღაზა, რომელსაც დაახ. 1,4 მილ. მცხოვრები ჰყავს და 360 კმ ფართობი უჭირავს.

ღაზის სექტორი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დე-იურე ცნობილი არ არის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ტერიტორია ამჟამად ისრაელის ოკუპაციის ქვეშაა. აშშ-ის მთავრობის კლასიფიკაციით ღაზის სექტორი არის „ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, რომლის სტატუსი დამოკიდებულია ისრაელ-პალესტინის ორმხრივ შეთანხმებაზე". ისრაელის მთავრობა ამგვარი კლასიფიკაციის წინააღმდეგია, განსაკუთრებით 2005 წელს ისრაელის ცალმხრივი გამოსვლის გადაწყვეტილების შემდეგ.

ისრაელი აკონტროლებს ღაზის სექტორის საჰაერო სივრცეს და ოფშორულ სანაოსნო მოსასვლელს. თავად სექტორი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის იურისდიქციის ქვეშაა, რომელიც ასევე აკონტროლებს სექტორის საზღვარს ეგვიპტესთან.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გერმანული ქიმიურ-ფარმაცევტული კომპანია; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარლი უკრაინული მინერალური წყალი; 4. მთიანეთი ევროპაში; 6. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 8. ლექსის გარითმული სტრიქონი; 11. კუბური ჩქარტემპიანი ცეკვა; 12. ყავის მარცვლებში და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 16. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 17. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო, სატანვარჯიშო იარაღი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 13. უაღრესად რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა; 14. საავიაციო საჰაერო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 15. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სერბეთში; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 3. ვენერა; 8. ალმანი; 10. კარტელი; 11. ექსპო; 12. მირანდა; 14. გრანდი; 15. კრაზანა; 16. რკალი; 19. კრიპტო; 20. სამურაი; 21. კატარი.

**შვეულად:** 1. ბისექტრისა; 2. კოდაკი; 3. ვენეცია; 4. რეისი; 5. ოლეანდრი; 6. მარნა; 7. დისპლეი; 9. საპონი; 13. მარიო; 17. ანოა; 18. ბეი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სკა; 2. ამია; 3. აირანი; 4. ალი; 5. კიმ; 6. არა; 7. არია; 8. საია; 9. ვაფლი; 10. ასორტი; 11. აბა; 12. მაიკ; 13. ატიმია; 14. აბელი; 15. მელ; 16. ინა; 17. კალა; 18. ნეი; 19. კივი; 20. პირანია; 21. მიო; 22. ხი; 23. პანთერა; 24. უი; 25. კუ; 26. აპდაიკი; 27. სიო; 28. დუ; 29. ორთი; 30. მოდიუსი; 31. კარლ; 32. მონიტორი; 33. აკრი; 34. რემისია.

**სურათებზე:** ლაიმა ვაიკულე; ლუკას პოდოლსკი.

# კატალონიელებს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარება სურთ



კატალონიის ავტონომიური რეგიონის მაცხოვრებელთა უმრავლესობა ესპანეთიდან გამოყოფაზე რეფერენდუმის ჩატარების მომხრეა – ასეთი შედეგი დაფიქსირდა კატალონიაში ჩატარებულ მასშტაბურ საზოგადოებრივ გამოკითხვაში. როგორც ესპანური „ლა გუარდია“ იუწყება, კატალონიელები უკმაყოფილონი არიან ცენტრალური მთავრობის პოლიტიკით და მიიჩნევენ, რომ მთავრობის მიერ კატალონიის, ესპანეთის უმდიდრესი რეგიონის ფინანსების არასამართლიანი განკარგვა ხდება, მადრიდში კი თვლიან რომ დამოუკიდებლობაზე რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ევროზონის კრიზისის ფონზე სეკულარიზმი ევროპაში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. თვის დასაწყისში ლონდონსა და ედინბურგს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება შოტლანდიაში დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებაზე, რამაც ბასკებს, ფლამანდელებს, კატალონიელებსა და სხვა ევროპულ ავტონომიებს ანალოგიური შედეგების მიღწევის იმედი ჩაუსახა.

კატალონია ესპანეთის ავტონომიური რეგიონია. სახელი ცნობილია 1350 წლიდან. კატალონიელთა ქვეყანა მოიცავდა აგრეთვე ალგეროს (სარდინიაში), ანდორას, ჩრდილოეთ კატალონიას ანუ აღმოსავლეთ პირენეების ფრანგულ რეგიონს, ბალეარის კუნძულებს, ვალენსიის რეგიონს. კატალონიის რეგიონში ამჟამად 4 პროვინცია შედის:

# უკრაინის რადაში ხუთი პარტია შევა



უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების 50% უკვე დათვლა. ვიქტორ იანუკოვიჩისა და იულია ტიმოშენკოს პარტიებს შორის სხვაობა სულ უფრო მცირდება „ბატკივშჩინას“ სასარგებლოდ.

28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად უკრაინის რადაში 5 პარტია შევა.

იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიამ“ 35,03%, იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინამ“ 21,98%, კომუნისტურმა პარტიამ 14,89%, ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარმა“ 12,88%, ხოლო ნაციონალისტების „სვობოდამ“ 8,34% მოაგროვა.

არსებული ცნობით, იანუკოვიჩის პარტია პარლამენტში ბლოკის შექმნას კომუნისტებთან აპირებს.

ხუთი წლის განმავლობაში უკრაინის რადაში 450 პარლამენტარი აღასრულებს საკანონმდებლო სამუშაოს, ნახევარი მათგანი პროპორციული, ნახევარი კი მაჟორიტარული სისტემით იქნა არჩეული.

უკრაინის რადაში უმრავლესობას სავარაუდოდ, გაერთიანებული ოპოზიცია მოიპოვებს

სახელისუფლო „რეგიონების პარტია“ კი უკრაინაში გამართულ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს მოსალოდნელს უწოდებს და აცხადებს, რომ ისინი პირველადი მონაცემების შედეგად, გამარჯვებულები არიან.

ეგზიტპოლების შედეგად ვიქტორ იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიამ“ 38,63%,-ი იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინამ“ კი 20,12%-ი მოიპოვა. მესამე და მეოთხე ადგილებს შესაბამისად კომუნისტები 15,63%-ით და ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარი“ 6,71-%-ით ინაწილებენ.

მართალია, პროცენტულად სახელისუფლო პარტია ლიდერობს, თუმცა თუ ოპოზიციური პარტიების დეპუტატთა რაოდენობას დავითვლით, მაშინ რადაში ისინი იანუკოვიჩის პარტიას აშკარად გადააჭარბებენ.

# ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა ოპოზიციამ გაიმარჯვა



ლიტვის საპარლამენტო არჩევნების მეორე რაუნდში გამარჯვება მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა პარტიამ მოიპოვა, რომელმაც მოქალაქეებს ევროკავშირის მოთხოვნების, კერძოდ საბიუჯეტო შეკვეცების წინააღმდეგ ბრძოლა აღუთქვა. მეორე ადგილზე მოქმედი პრემიერის, ანდრიუს კუბილიუსის კონსერვატიული ქრისტიან-დემოკრატიული პარტია გავიდა.

გამარჯვებულმა პარტიის ლიდერმა და პრემიერ მინისტრობის სავარაუდო კანდიდატის ალგირდას ბასკევიჩუსის განცხადებით, სოციალ დემოკრატები ორ სხვა ოპოზიციურ ფაქტიასთან ერთად კოალიციის შექმნიას, რის შედეგადაც გაერთიანებულ ოპოზიციას 141 კაციან პარლამენტში 79 დეპუტატი ეყოლება, კონსერვატორები კი 32 დეპუტატით იქნებიან წარმოდგენილი.

ლიტვის არჩევნების ზოგადი ტონი და შედეგები, როგორც ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, ევროზონის კრიზისმა განსაზღვრა. ლიტვამ, სადაც ევროკავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, 14 პროცენტიანი რეცესია დაფიქსირდა, გაბანკროტების თავიდან ასაცილებლად საბიუჯეტო ხარჯების მასიურად შემცირების პოლიტიკას მიმართა, რამაც მოქალაქეების მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ლიტვის სეიმი შედგება ერთი პალატისაგან, რომლის შემადგენლობაშიც საყოველთაო, თანასწორუფლებიანი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული 141 დეპუტატია, მათგან 71 დეპუტატს ირჩევენ ერთმანდატიანი ოლქებიდან მაჟორიტარული სისტემით, 70-ს კი – პროპორციული სიით 5 %-იანი ბარიერის გადალახვის შედეგად. ლიტვის კონსტიტუციის მეხუთე თავის მიხედვით სეიმის დეპუტატად აირჩევა ლიტვის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ლიტვაში.

# სირიაში ბრძოლები განახლდა



სირიაში, ყურბან-ბაირამის დღეებში დადებული ზავის მესამე დღეს, სამთავრობო ძალებსა და სირიის თავისუფლების არმიის შორის ბრძოლები კვლავ განახლდა. ოპოზიციის აქტივისტების თქმით, ქვეყნის საჰაერო ძალებმა დამასკოში სუნიტებით დასახლებული უბანი დაბომბეს. საჰაერო იერიშს 14 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

„ზავი დასრულებულია. დამასკო საშინელი ავიაშეტევის მსხვერპლი გახდა, დააპატიმრეს ასობით ადამიანი“, – განაცხადა ოპოზიციონერმა ფავაზ ტელომ.

აფეთქებები მოხდა დამასკოს კიდევ ორ რაიონში – ბერზსა და სბეინში. მასშტაბური ტერაქტი განხორციელდა ქალაქ ზაჰრაში, სადაც საბავშვო ბაღის წინ დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ტერაქტს 15 ადამიანი შეეწირა, 92 კი მძიმედ დაიჭრა.

თავის მხრივ, შეტევაზე გადავიდნენ ასევე აჯანყებულთა სამხედრო ძალები. ოფიციალური მონაცემებით, თავდასხმები განხორციელდა მთავრობის სამხედრო ბლოკპოსტებზე. ალეპოში აჯანყებულებმა შეტევა მიიტანეს ყაზარმებზე და თვითნაკეთი რაკეტებით დაბომბეს ქვეყნის უძველეს ნაწილში მდებარე მუნიციპალური სასახლე. სირიის მთავრობის განცხადებით, ისინი მხოლოდ რეაგირებას ახდენენ აჯანყებულთა ძალების მიერ ზავის „აშკარა და უტიფარ“ დარღვევებზე. თავის მხრივ ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ შეუძლებელია ზავის შენარჩუნება როდესაც ბაშარ ალ-ასადის ძალები ტანკებითა და ბომბდამშენებით მანევრირებას განაგრძობენ და მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავენ.

სახელისუფლებო ჯარებსა და ამბოხებულებს შორის ცეცხლის განახლებიდან ორ დღეში, 175 ადამიანი დაიღუპა.

– სირიის საჰაერო შეიარაღებული ძალები დამასკოს ახლოს ოპოზიციონერების პოზიციებს ბომბავენ, ინფორმაციას ამის შესახებ დასავლური მედია ოპოზიციის აქტივისტებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, დარტყმა იმ დასახლებული პუნქტის მიმართულებით განხორციელდა, რომელიც სირიის დედაქალაქიდან აღმოსავლეთით მდებარეობს.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ წინა კვირას ამ ქალაქის ხელში ჩაგდება სამთავრობო ძალებმა წარუმატებლად სცადეს.

ასევე სირიის ოპოზიციის აქტივისტების თქმით, ქვეყნის საჰაერო ძალებმა გუშინ დამასკოს სუნიტი მუსლიმებით დასახლებული რაიონი დაბომბეს.

შეგახსენებთ, რომ კონფლიქტის მხარეები ცოტა ხნის წინ გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს სირიაში ლაკდარ იბრაჰიმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დასთანხმდნენ. შეთანხმების მიხედვით, ცეცხლი მუსლიმთა დღესასწაულ ყურბან ბაირამის პერიოდში უნდა შეეწყვიტათ.

თავის მხრივ, თურქეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ქვეყნის არტილერიამ სირიის მხრიდან გახსნილ ცეცხლს კვლავ უპასუხა.

სირიის ტერიტორიიდან თურქეთის სოფელ ბასასლანში ჭურვი დღეს ჩამოვარდა. არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანდა ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი.

სააგენტო „ანადოლუს“ ცნობით, თურქეთმა საპასუხო ცეცხლი გახსნა. შეგახსენებთ, რომ 3 ოქტომბერს სირიის ტერიტორიიდან თურქეთის სასაზღვრო ქალაქში ჩამოვარდნილ ბომბს 5 ადამიანი ემსხვერპლა, რის შემდეგაც ანკარამ მეზობელი ქვეყანას საპასუხო ცეცხლი გაუხსნა.

# ურუგვაიმ შესაძლოა ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროს



სომხური გაზეთის „გრაპარაკის“ ინფომრაციით, ნოემბრის ბოლომდე ურუგვაიმ შესაძლოა ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროს. მანამდე კი ავსტრალიის ერთ-ერთმა შტატმა სამხრეთ უელსმა უკვე აღიარა ყარაბაღის დამოუკიდებლობა.

სომხური გაზეთის თქმით, მალე სომხეთში ურგვაის საპარლამენტო დელეგაცია ესტუმრება და ამ თემაზე მოლაპარაკებებს გამართავს. სომხეთის შემდეგ დელეგაცია მთიან ყარაბაღში გაემართება, სადაც ოფიციალური შეხვედრები შედგება.

აღსანიშნავია რომ ურუგვაი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1915 წლის სომხების გენოციდი აღიარა.

მთიანი ყარაბაღი ისტორიული რეგიონია ამიერკავკასიაში. 1923 წელს შეიქმნა ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. 1988 წლის შემდეგ ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და მისი მიმდებარე აზერბაიჯანის რაიონები ფაქტობრივად ოკუპირებული აქვს სომხურ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. ტერიტორიის სტატუსი კვლავაც გაურკვეველია.

# ბერლუსკონი ევროპელ ლიდერებს პოლიტიკურ საბოტაჟში ადანაშაულებს



იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ ევროპელი ლიდერები მის წინააღმდეგ „შეთქმულებაში“ დაადანაშაულა. „ანგელა მერკელი და ნიკოლა სარკოზი ცდილობდნენ მსოფლიო არენაზე ჩემი პოლიტიკური იმიჯის შელახვას“, – განაცხადა მედიამაგნატმა საკუთარ ვილაში გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ თანამდებობიდან მხოლოდ ქვეყნის ინტერესების გამო გადადგა.

76 წლის პრემიერმა განაცხადა, რომ ის არასოდეს იზიარებდა გერმანიის კურსს ევროზონაში არსებული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით საბერძნეთთან მიმართებაში.

ბერლუსკონის თქმით, იტალიის მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა მარიო მონტიმ არ შეასრულა დანაპირები და არ გაატარა ფართომასშტაბიანი საკონსტრიტუციო რეფორმები. მეტიც, ის მონტის მთავრობას იტალიელთა ცხოვრების პირობების გაუარესებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნაში ადანაშულებს. მან მონტის „საგადასახადო შანტაჟის სულისჩამდგმელი“ უწოდა და აღნიშნა, რომ ამის გამო ქვეყნიდან ინვესტორები გაიქცნენ, იტალიელი ბიზნესმენები კი საზღვრებს გარეთ ანხორციელებენ ინვესტირებას.

„მონტი გერმანიის კარნახით მოქმედებს და ამით ზიანს აყენებს იტალიის ნაციონალურ ინტერესებს“, – განაცხადა ბერლუსკონიმ.

მან აგრეთვე გააკრიტიკა იტალიის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა და აღნიშნა, რომ სასამართლო მეტად ობიექტური და არატენდენციური უნდა იყოს.

„თავს ვალდებულად ვთვლი, პოლიტიკაში დავრჩე სწორედ იმიტომ, რომ იტალიელები უსამართლო სასამართლო სისტემისგან დავიცვა და არ დავუშვა მათ ისევე მოექცნენ, როგორც – მე“, – აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა, რომელიც უარყოფს მისთვის წაყენებულ ბრალდებას.

მისივე თქმით, ის არ აპირებს 2013 წელს გასამართ არჩევნებში მონაწილეობას „თავისუფლების ერის“ პარტიის ლიდერის რანგში. პარტია ახალ ლიდერს პრაიმერის წესით აირჩევს.

26 ოქტომბერს სილვიო ბერლუსკონი სასამართლომ დამნაშავედ სცნო ფინანსურ მაქინაციებში და მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარდა ამისა, მედიამაგნატმა საგადასახადო ორგანოებს კომპენსაციის სახით 10 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

თუმცა, იმავე დღეს პატიმრობის ვადა ერთ წლამდე შეუმცირდა, რადგან ბერლუსკონის ამნისტია შეეხო. თუ მისი ადვოკატების აპელაცია არ დაკმაყოფილდა, ექს-პრემიერს, ასაკიდან გამომდინარე, სასჯელის ვადის მოხდა შინაპატიმრობაში მოუწევს.

სილვიო ბერლუსკონი (დ. 29 სექტემბერი 1936, მილანი, იტალია) იტალიის პრემიერ-მინისტრი 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში.

ბერლუსკონი არის იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, იგი ფლობს სამ იტალიური ტელეარხს, იტალიის უდიდეს საგამომცემლო სახლს, ასევე 1986 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ მილანის მფლობელი და პრეზიდენტი. ჟურნალ „ფორბსის“ ინფორმაციით 2011 წელს მისი აქტივები შეფასებილია 6 მილიარდ დოლარად.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

## სამშაბათი 30 ოქტომბეჲი

7.30 „ჩვენი დილა„. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 მოამბე. 10.30 „დილის საუბარი„. 11.00 „სამოთხის ვაშლები„. 12.45 „პირადი ექიმი„. მარი მალაზონია. 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„. 15.00 სერ. „დეტექტივი„. 17.00 დოკ.ფ. „ძვლების მკვლევარები„. 18.00 სერ. „პეპე და მეგობრები„. 19.05 სერ.„ცოდვა და სირცხვილი„. 21.00 სერ. „დეტექტივი„. 22.00 მხ.ფ. „ენდე საკუთარ თავს„ (ა. ბანდერასი) 00.00 მხ.ფ. „პრესტიჟი„ (ს. იოჰანსონი). 02.30 მხ.ფ. „მკა„ (ტიტ.) 04.20 მხ.ფ. „ზეახალი„. (ჯ. ჰარისონი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დრო. 10.00 დოკ.ფ. „დაკარგული კიდობანის ძიება„. 1 ს. 14.00 დოკ.ფ. „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ„. 3 ს. 16.00 დოკ.ფ. „რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა„. 2 ს. 19.00 დოკ.ფ. „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ„. 4 ს. 22.00 დოკ.ფ. „რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა„. 3 ს. 01.00 მხ.ფ. „ბზარი„.

08.00 ან.ფ. „ტიმონი და პუმბა„. 09.00 სერ. „ცხელი ძაღლი„. 10.00 სერ. „ილგლიანი მოახლე„. 11.00 სერ. „უკვდავი ამბავი„. 12.00 სერ. „მემკვიდრეები„. 13.00 სერ. „გაქცევა„. 14.00 სერ. „თვალი არ მომაცილო„. 15.00 მხ.ფ. „გაქცეული პატარძალი„. 17.00 სერ. „მოჯადოებული„. 18.00 სერ. „მეწამული ცა„. 19.00 სერ. „სახიფათო ვნება„. 20.00 ქ.სერ. „ჟაკა და ლუდი„. 21.00 სერ. „მემკვიდრეები„. 22.00 ქ.სერ. „ცხელი ძაღლი„. 23.00 სტუმრად „იუმორინასთან„. 00.20 ახალი ქართული ხმა. 02.10 მხ.ფ. „ილაიას წიგნი„ (დ. ვაშინგტონი) 04.05 მხ.ფ. „სამუშაო„ (დ. ჰანა) 05.40 მხ.ფ.„ბუჩ კესიდი და სანდერს კიდი„ (რ.რედფორდი) 07.30 მუსიკა.

2 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი“. 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული“. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი. 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.30 ვანოს შოუ. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„. 18.45 სერ. „მგზნებარე გული„. 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„. 21.50 ეროვნული ლატარეა.22.00 საქართველოს ვარსკვლავი– 5. 00.30MTV PUNK'D.01.00 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

08.00 ან.ფ „გულივერის მოგზაურობა„. 08.55 სერ.„მისი სულის მუსიკა„. 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი. 10.00 მხ.ფ. 12.20 სერ. „ლარედოს ქუჩები„. 13.00 მხ.ფ. 15.15 მხ.ფ. 17.10 სერ. „ენი მწვანე სახურავების მამულიდან„. 18.00 მხ.ფ. 20.00 სერ. „ტყუპები„. 21.00 სერ. “გაუხსნელი საქმე„. 22.00 მხ.ფ. 00.05 მხ.ფ.

08.30, 11.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.40 „დრო„. 09.00 მუსიკა. 09.30 დოკ.ფ. 10.30 დოკ.ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი. 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი. 11.50, 21.25 სერ. „საგა„. 12.50, 19.35 სერიალი. 13.50 მუსიკა. 15.15 დოკ.ფ. 16.00 დოკ.ფ. 16.30 დროის ვექტორი. 18.15 დოკ.ფ. 23.00 დოკ.ფ.„ისინი„. 23.30 მხ.ფ. 01.00 მხ.ფ.

ერთსულოვნება 06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი. 06.10, 15.35 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„. 06.40 სპექტაკლი „ბაკულას ღორები„. 08.00 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 განთიადი. 10.05, 15.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.10, 12.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30 ისტორიის დღიური. 10.15 პატრიარქის ქადაგება. 10.35 დოკ. ფილმი „ორშაბათ საღამოს„. 10.40 კვირიაკე. 12.15 მხ.ფილმი „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში„. 13.35 კონცერტი –„გადავარჩინოთ მოქვის სახარება„. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთან„. 16.00 მხ. ფილმი „თხუნელა„. 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 დიდხარ შენ, უფალო. 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი. 19.20 ჩვენი ტრაპეზი. 19.30 დროის ჩანაწერები. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.30 საყვაწვილო ბიბლიური ენციკლოპედიაყ 22.25 მგზავრები წუთისოფლისა. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 მოკლ. ფილმი „სერენადა„. 00.30 ერთსულოვნების სალონი. 01.15 კარაბადინი. 01.40 ირაო.

მაესტრო 07.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 14.30, 15.30, 16.30, 18.40, 06.30 უცხოეთის ამბები. 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ. ამინდი. 08.00, 09.00, 10.00. 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00. 02.00, 05.00, 06.00 ახალი ამბები. 08.30. 09.15 შალვა რამიშვილის დილა. 11.20, 22.00, 02.30 ყოველდღიური აბები. 11.35 მულტ.ს. „ბანანის რესპუბლიკა„. 11.50, 14.50, 18.50 კვირის აზრები. 17.10, 05.30 თოქ-შოუ „პირდაპირი საუბარი„. 19.05, 01.15 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„. 20.05, 02.50 თოქ-შოუ „არგუმენტები„. 22.20, 03.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„. 23.45, 04.45 აკრედიტაციის გარეშე. 00.20 სტუდენტური თოქ-შოუ „ფაკულტეტი„.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

30 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 1,6390

ევრო — 2,1768

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 15-17.
<u>დასავლეთ საქართველო:</u> დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21-23, ღამით — 16-17
<u>სამხრეთ საქართველო:</u> დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 7-8

ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისთვის





ეროვნული ბიბლიოთეკა



29 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან" ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის"

ოთხტომეულის მე-2 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად - 8 ლარი

22 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან" ერთად

რჩეული ქართული ზღაპრები

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად — 3 ლარი


## ასტროპროგნოზი 30 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად არ დახარჯოთ. **სასწორი** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეებს აწესრიგებთ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — არავის აყვეთ, თქვენი საქმე აკეთეთ. **თხის რქა** — ენერგიას აღიდგენთ და ბრწყინვალე ფორმაში ჩადგებით. **მერწყული** — ახალი შენაძენი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ გულისთქმას, ის სწორ გზაზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უვიცი, უცოდინარი ადამიანი; 2. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 5. იტალიელი მოდელიორი; 9. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი; 10. ფართო ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 14. წყლის შიში; 15. შემინული აივანი; 16. ამერიკელთა მეტსახელი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 19. ზებუნებრივი ძალების რწმენა, იდუმალი რამ; 20. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 21. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზაციაში დესტრუქციული ქმედებებისთვის შეგზავნილი პირი; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. მე-18 საუკუნის ფრანგი მოგზაური, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე; 12. კანადის დედაქალაქი; 13. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" დამფუძნებელი; 17. ლატვიის ძველი სახელწოდება; 18. კურორტ კარლოვი ვარის გერმანული სახელწოდება; 22. ძველბერძენი მოქანდაკე; 23. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 24. თვალის ექიმი; 25. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა




## ქარიშხლის გამო ნიუ-იორკის ბირჟა დაიხურა

ქარიშხალ „სენდის" გამო ნიუ-იორკის ბირჟა დაიხურა, — იუწყება საზღვარგარეთული მედია.

მათი ინფორმაციით, ეს საუკუნის მეოთხედის განმავლობაში პირველად მოხდა. სტიქიამ ქვეყნის ცხოვრების ნორმალური დინება უკვე დაარღვია და ეკონომიკას ზარალი მიაყენა. დაიხურა აეროპორტები, გადადებულია 3 000-ზე მეტი ავიარეისი. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მეტროპოლიტენისა და რეისებით მომუშავე ავტობუსების მუშაობა შეჩერებულია.



სკოლებში შეწყდა მეცადინეობები. ბროდვეიზე კი თეატრები დაიხურა.

აშშ-ს ხელისუფლება ქარიშხალ „სენდის" დასახვედრად ემზადება, რომელსაც ამ დროისათვის კარიბის აუზის ქვეყნებში 60 ადამიანი ემსხვერპლა.

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოსახლეობას მოუწოდა ქარიშხალის დასახვედრად სერიოზულად მოემზადონ. რამდენიმე შტატში უკვე გამოცხადებულია საგანგებო რეჟიმი.

მოახლოებული ქარიშხალის გამო მოქმედმა პრეზიდენტმა წინასაარჩევნო გამოსვლები გადადო. ამომრჩევლებთან დაგეგმილი შეხვედრები გადადო ობამას მეტოქე მით რომნიმაც.

„ეს ნამდვილი დიდი შტორმია. ჩემი გზავნილი აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებლებისადმი იქნება შემდეგი-თქვენ ამ შტორმს ძალიან სერიოზულად უნდა მიუდგეთ",-განაცხადა პრეზიდენტმა.

ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა ბრძანება გასცა იმ 400 000 ადამიანის ევაკუაციის შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით საშიშ რაიონებში ცხოვრობენ.

საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ნიუ-იორკის, პენსილვანიის, ვირჯინიის შტატებსა და კოლუმბიის ოლქში.

მეტეოროლოგები შიშობენ, რომ ტროპიკული შტორმისა და ცივი არქტიკული მასების შეჯახებამ კონტინენტზე, შესაძლოა არა მხოლოდ წვიმა, არამედ თოვლიც გამოიწვიოს.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

## ცირეკიძემ ბრინჯაოთი დაიწყო



ბრაზილიის ქალაქ სალვადორ დე ბაიაში გამართულ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა 14 ქვეყნის ნაკრებს შორის მესამე ადგილი დაიკავა. ირაკლი ცირეკიძემ, რომელსაც მწვრთნელის ამპლუაში დებიუტი ჰქონდა, ტურნირზე ნაწილობრივ გადახალისებული შემადგენლობა ჩაიყვანა, თუმცა აქვე ვთქვათ, სრული საბრძოლო განაცხადი არც ერთი ნაკრების თავკაცს არ დაუყენებია.

ცირეკიძის შეგირდებმა პირველ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთის ნაკრები 5:0 გაანადგურეს. თავიანთი შეხვედრები მოიგეს შალვა ქარდავამ (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ), ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) და ლევან მატიაშვილმა (მძიმე).

შემდეგი მეტოქე იაპონია იყო. ცირეკიძემ ერთ ცვლილებას მიმართა და რეხვიაშვილი ნუგზარ ტატალაშვილით ჩაანაცვლა. სწორედ ტატალაშვილმა მოუტანა პირველი ქულა ქართველებს, მანამდე და მის შემდეგ ქარდავა და ჭრიკიშვილი დამარცხდნენ. ანგარიში ლიპარტელიანმა გაათანაბრა, თუმცა მატიაშვილმა მაინც ვერ მოახერხა გამარჯვების მომტანი ქულის აღება და ჩვენებიც რეპეჟაში გადაერთვნენ.

საქართველოსა და კუბის მატჩის ბედი პირველმა სამმა წონამ გადაწყვიტა — ქარდავამ, რეხვიაშვილმა და ჭრიკიშვილმა გუნდს „ბრინჯაოს ფინალი" გაუნაღდეს, ხოლო უმოტივაციო ბრძოლებში ლიპარტელიანი და მატიაშვილი დამარცხდნენ.

მესამე ადგილისთვის სამხრეთ კორეელებთან ქარდავამ პირველი ქულა მოუტანა გუნდს, შემდეგ ტატალაშვილი დამარცხდა, თუმცა მისი ჯავრი ჭრიკიშვილმა, ლიპარტელიანმა და მატიაშვილმა იყარეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

მ. ჟ.

## სინეტეკის თეატრი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ვაშინგტონში მოღვაწე სინეტეკის თეატრი, რომლის ხელმძღვანელებიც ქართველები არიან, თბილისში გასტროლზე ჩამოვა და რუსთაველის თეატრში სპექტაკლებს გაითამაშებს. გასტროლი ნოემბრის დასაწყისში ამერიკის საელჩოს დახმარებით განხორციელდება. ამერიკაში საკმაოდ წარმატებული და აღიარებული სინეტეკის თეატრი თბილისს 20-კაციან დასთან ერთად ეწვევა.




სინეტიკის თეატრი ვაშინგტონში 11 წლის წინ საქართველოდან წასულმა ემიგრანტებმა პაატა და ირინა ციქურიშვილებმა დააარსეს.

— ძალიან მოკლე დროში მათ ვაშინგტონის საზოგადოება და თეატრალური სამყარო თავიანთი ინდივიდუალიზმით მოხიბლეს. დღეს კი უკვე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული თეატრია არა მხოლოდ ამერიკაში. ორგანიზაცია „ვაშინგტონის თეატრების" პრეზიდენტი ლინდა ლაივი ამბობს, რომ სინეტეკი ქალაქის უდაო ფავორიტია. სწორედ ეს ორგანიზაცია ავლენს გამარჯვებულებს ვაშინგტონის თეატრალურ ოსკარად წოდებულ ჰელენ ჰეისის პრემიაზე. წელს 28-ე ცერემონიალზე დედაქალაქის 84 თეატრი მონაწილეობდა და 153 ნომინანტს შორის სინეტიკის მიერ დადგმულმა „მეფე ლირმა" დრამატულ თეატრებში ყველაზე მეტი – 11 კატეგორიაში 4 პრიზი აიღო. თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე კი თეატრს ჰელენ ჰეისის 89 ნომინაცია და 25 პრიზი აქვს მოპოვებული. სინეტიკის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ირაკლი კავსაძეა, წარსულში რუსთაველის თეატრის


გაგრძელება მე-10 გვერდზე